პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი
26
აგვისტო
1937 წ.
№ 194 (4995)

დღეს გაზეთში.

— განსახკომი მოუმზადებელი ხვდება სასწავლო წელს (მოწინავე)
— ვიცოდეთ სსრ კავშირის ხალხთა ისტორია („პრავდის" 22/VIII მოწინავე)
— მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ ტერორისტ-დივერსანტ მავნებელთა პროცესი.
— საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიურის დადგენილება.
— ტრანსპოლარული გადაფრენის გმირები მოსკოვში
— ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის ძებნა უცხოეთში:
— გააფთრებული ბრძოლები ფინტაის რაიონში
— შანხაის ფრონტზე ინიციატივა ჩინეთის ჯარების ხელშია
— იაპონიის ჯარისკაცებს არ სურთ ბრძოლა ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ
— ესპანეთის ფრონტებზე
— ესპანეთის მთავრობის განცხადება
— ახალი მღელვარებანი მეამბოხეთა ზურგში
— ფაუპელის გადადგომა.

განსახკომი მოუმზადებელი ხვდება სასწავლო წელს

ჩვენი ქვეყნის კურორტებიდან, დასასვენებელი სახლებიდან, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკებიდან ხალისიანად მოისწრაფიან სიცოცხლითა და დაუშრეტელი ენერგიით სავსე მასწავლებლობა და მოწაფეობა. გაივლის სულ რაღაც ექვსი დღე და პირველ სექტემბერს სკოლის წკრიალა ზარები ამცნობენ ახალგაზრდობას სწავლის დაწყებას.

ჯანსაღად და კულტურულად დასვენების შემდეგ კვლავ განახლდება ენერგიული ბრძოლა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის, იმისათვის, რომ განუხრელად შესრულდეს საქართველოს მშრომელი ხალხის საყვარელი შვილის ამხ. ლ. ბერიას მითითება: მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე — ეს ფრიადზე სწავლაა, ეს იმას ნიშნავს, რომ გქონდეს 5 — მათემატიკაში, 5—ფიზიკაში, 5 — ისტორიაში, ხუთი — ყველა საგანში.

ეს სავსებით შეგნებული აქვთ ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობასა და მოწაფეობას. სამწუხაროდ, საქართველოს განსახკომის მუშაკებმა და ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგემ დღემდის ვერ შეიგნეს, რომ ვალდებულნი არიან მოზღვავებულ მოწაფეობასა და მასწავლებლობას დახვედრონ ახალი და განახლებული, კეთილმოწყობილი, სასწავლო ინვენტარითა და ნივთებით უზრუნველყოფილი სასკოლო შენობები და საკლასო ოთახები.

ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის „მსუბუქი კავალერიის" რეიდები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა უკვე ამოწმებენ სკოლების მზადყოფნას მომავალი სასწავლო წლისათვის. ამით ერთხელ კიდევ მოწმდება განათლების ორგანოების მუშაკთა თაოსნობა და ოპერატიულობა, ის, თუ რამდენად შესწევთ მათ უნარი სათავეში ჩაუდგნენ და სავსებით დააკმაყოფილონ ბედნიერი თაობის სრულიად კანონიერი მოთხოვნა საბჭოთა სკოლის ნორმალურად და საუკეთესოდ მუშაობის შესახებ.

დღესაც, როცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდის ხელის თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა, დღესაც მრავალი სკოლა მოუმზადებელია. და ეს ნაკლებად აწუხებს განათლების დარგის ზოგიერთ უდარდელ მუშაკს. აბა, რას უნდა მიეწეროს ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილების გამგის — ახატიანის უცნაური საქციელი, როცა ის თბილისში დასეირნობს, ხოლო ქალაქ ჭიათურის სკოლები უპატრონობისა და უყურადღებობის გამო უმწეო მდგომარეობაში არიან.

განსახკომში ბიუროკრატიულად დაწერილ „მოხსენებითი ბარათებიდანაც" კარგად იციან, რომ იმავე ჭიათურის სკოლებში პარტები დანჯღრეულია, დაფები, მაგიდები და სხვა სასწავლო ინვენტარი დამტვრეული, მათ ჯერჯერობით არც ახალი აქვთ და არც ძველის შეკეთებაზე ფიქრობს ვინმე. 10 აგვისტოსათვის შეკეთება არც კი ჰქონდათ დაწყებული ქუთაისის მე-9, მე-20, მე-11 და სხვ. სკოლების ხელმძღვანელებსაც.

განსახკომში ისიც იციან, რომ ლაგოდეხის რაიონში ხალხის მტრებმა ი. ბეჟაშვილმა და კომუნალური განყოფილების ყოფილმა გამგემ წასიძემ ჩაშალეს სოფ. ლელიანის სკოლის მშენებლობა, ახალი სასწავლო წლისთვის მზადება არ დაუწყიათ ყარსუბნის, გიორგეთის, ფონას და კაბალის სოფლის სკოლებში. განსახკომში დაგიდასტურებენ აგრეთვე, რომ ცუდი მდგომარეობაა კასპის, ჯულელის, ცხაკაიას და ბევრ სხვა რაიონის სკოლებშიც. მაგრამ მარტო ფაქტის დადასტურება როდი უშველის საქმეს.

სასკოლო მშენებლობის სამმართველოში მოკალათებული, ახლა პარტიის რიგებიდან გაძევებული ა. კალანდაძე ყოველ გზა-ჯვარედინზე უმწეოდ გაჰკიოდა: „ქალაქებში სასკოლო მშენებლობა ცუდად არის, ყოველგვარ ღონისძიებას მივმართავთ, მაგრამ ვერ გამოვასწორეთ". განსახკომის ხელმძღვანელები უკანასკნელ დრომდის „თავს ევლებოდნენ" ამ უუნარო და უქნარა ადამიანს, უჭირდათ მისი მოშორება და მის ნაცვლად სხვა, უფრო შესაფერისი მუშაკის წამოწევას ვერ ბედავდნენ. თბილისის სკოლების მშენებლობას სათავეში ედგა შენდეროვი, რომელიც განგებ აბრკოლებდა ამ საქმეს, ბაქი-ბუქითა და ყოყოჩობით ჰფარავდა თავის უხამს საქმიანობას. ამიტომ იყო, რომ სასკოლო მშენებლობა ქალაქად და სოფლად კუს ნაბიჯით მიიზლაზნებოდა.

მართალია, სახელგამმა ძირითადად უზრუნველჰყო სახელმძღვანელოების გამოცემა, მაგრამ ცუდად არის დაყენებული სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით ვაჭრობა. ცეკავშირი, აჭარკოოპკავშირი და მათი ადგილობრივი ორგანოები არასაკმაოდ მოემზადნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმიანობისათვის. ამის გამო დამზადებული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სკოლებში მიტანა რეალური საფრთხის წინაშეა დამდგარი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურ უმცირესობათა სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებს ვერ მიიღებენ. ასეთივე მდგომარეობაა სკოლების სტაბილური პროგრამებით მომარაგების მხრივაც.

დაუშვებლად გაჭიანურდა მასწავლებელთა შერჩევა - განაწილება. განსახკომის ხელმძღვანელები ირწმუნებოდნენ, რომ ეს საქმე დროზე მოგვარდებოდა, მაგრამ ეს დაპირება დღესაც არ არის შესრულებული. პირიქით, კადრების შერჩევა-განაწილებაში მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. ხშირად ერთი მასწავლებელი ორ ადგილას ინიშნება, ჭიანურდება დანიშვნის გაფორმება, არ ჰყავთ შესაფერისი და საკმაო რაოდენობის კადრები ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებისათვის.

განსახკომმა უკანასკნელ ხანებში, მართალია, თავისი მუშაკები გაგზავნა რაიონების განათლების განყოფილებათა და სკოლებისათვის დახმარების გასაწევად, მაგრამ ისინი მდგომარეობის მხოლოდ ზერელე „შემოწმებით" და „მოხსენებითი ბარათების" დაწერით კმაყოფილდებიან — ადგილები მათგან ვერ ღებულობენ კონკრეტულ დახმარებას.

პირველ სექტემბერს ჩვენს სკოლებში სრულიად ნორმალური მეცადინეობა უნდა დაიწყოს. ამისათვის, სხვათა შორის, გაკვეთილები აქედანვე უნდა განაწილდეს, ცხრილები შესდგეს, მაგრამ სკოლებს სასწავლო გეგმები არა აქვთ.

საინტერესოა, რას ფიქრობს განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ჭკუასელი? რას ფიქრობენ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები? შეამოწმეს თუ არა მათ თავიანთ რაიონში სკოლების მზადყოფნა? მზად ხვდებიან თუ არა ისინი პირველ სექტემბერს?

უნდა ითქვას, რომ ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის. ამიტომ საჭიროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებას, სასწრაფოდ მოვაგვაროთ ყოველგვარი წვრილმანი და ახალ სასწავლო წელს სავსებით მომზადებული შევხვდეთ.

გენერალ ო. ვესტოვერის დეპეშა ამხ. კ. ე. ვოროშილოვს

ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსმა გენერალმა ოსკარ ვესტოვერმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშეს პოდპოლკოვნიკ ფ. ფაიმონვილის საშუალებით სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. კ. ე. ვოროშილოვს გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მივულოცავ საბჭოთა მფრინავებს და საბჭოთა ავიაციას საუცხოო მიღწევებსა და პროგრესს, რის მაგალითსაც წარმოადგენს ამსწინანდელი პოლარული გაფრენები. იმედი მაქვს, რომ შვიდობიანად დაბრუნდებიან გმირები, რომლებიც ამჟამად არქტიკაში იმყოფებიან.

ვესტოვერი"

◇

„რუსეთის, ამერიკისა და კანადის თვითმფრინავები ისწრაფვიან პოლარული აუზისაკენ"

ფერბენქსი, 23 აგვისტო („პრავდის" სპეც. კორესპონდენტი) (საქდესი). გაზეთი „ფერბენქს დეილი ნიუს მაინერი" დღეს მოწინავეში სწერს:

„რუსეთის, ამერიკისა და კანადის თვითმფრინავები ისწრაფვიან პოლარული აუზისაკენ. საბჭოთა ყინულმჭრელი წინ მიიწევს ყინულებში. მრავალი თვითმფრინავი გზაშია. ვილკინსმა იფრინა შორეულ ჩრდილოეთში. ასეთია სურათი, რომელიც თავისი დრამატიზმითა და გრანდიოზულობით აღემატება ყველაფერს, რასაც კი ისტორია იცნობს. და ეს არის არა ფანტაზია, არამედ დღევანდელი დღის ცხადი რეალობა. ეს ხდება ექვსი მამაცი მფრინავის საძებრად, რომლებმაც გადალახეს ჩრდილოეთის პოლუსი და უბედური შემთხვევის გამო იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ გადაფრენა.

მოხალისეთა გამოხმაურება და სსრ კავშირის ჩრდილო-საჰაერო და საზღვაო ფლოტების ინტენსიური დაუყოვნებლივი მობილიზაცია აჩქარებს მოვლენათა განვითარებას. დახმარების გასაწევად ამუშავდნენ ამერიკის, სსრ კავშირისა და კანადის არქტიკასთან მოსაზღვრე მეტეოროლოგიური სადგურები და რადიოსადგურები. ფერბენქსი გახდა გამოსავალ პუნქტად და ბაზად ექსპედიციის მომზადებისათვის, მომსახურებისა და კავშირისათვის ძებნის დროს. ეს ეღირება მილიონებად, ეს — თავბრუდამხვევი წამოწყებაა, მაგრამ იგი ბევრს რასმე დადებითს მოგვცემს და კმაყოფილებას მოუტანს საზოგადოებას.

ახლა ფერბენქსში საბჭოთა წარმომადგენლების მთავარი ამოცანაა — ავიაბაზების მოწყობა ამერიკული არქტიკის სანაპიროზე და იქ თვითმფრინავებისათვის საწვავი მასალის ჩატანა. ბაროუს კონცხის მომარაგება უახლოეს დღეებში მოგვარდება".

ლ. ხვატი.

ტრანსპოლარული გადაფრენის გმირები მოსკოვში

თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟის საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გრომოვის, ამხ. იუმაშევისა და დანილინის მიღება კრემლში

მოსკოვი, 24 აგვისტო (საქდესი). გუშინ კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მიღება საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გრომოვის, ამხ. იუმაშევისა და დანილინისა, რომელთაც ბრწყინვალედ შეასრულეს გმირული ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი—სან-ჯასინტო (აშშ) და დაამყარეს სწორ ხაზზე შორფრენის მსოფლიო რეკორდი. მიღება გამართეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ.

გიორგის დარბაზში თავი მოიყარეს ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის ნათესავებმა და მეგობრებმა, საავიაციო მრეწველობისა და სხვა ორგანიზაციათა იმ მუშაკებმა, რომელნიც მუშაობდნენ უშუალოდ გადაფრენის მომსახურების საქმეზე, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ-სამმართველოს მუშაკებმა მოსკოვის საწარმოთა სტახანოველებმა, პრესისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალრიცხოვანმა წარმომადგენელმა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და მთავრობის წევრებმა. დამსწრეთა შორის იყვნენ სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელნი, უდიდესი ავიაკონსტრუქტორნი, საბჭოთა კავშირის გმირნი ამხ. შმიდტი, ვოდოპიანოვი, მოლოკოვი, შეველიოვი, ალექსეევი, ბაბუშკინი, სპირინი, ბელიაკოვი, ამხ. ვ. ი. მეჟლაუკი, რუხიმოვიჩი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ეგოროვი, ამხ. ხრუშჩოვი, ბულგანინი და სხვ.

მქუხარე ოვაციით, „ვაშას" ძახილით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგ სტალინს, მოლოტოვს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მთავრობის წევრების გამოჩენას დარბაზში. დიდხანს არ შეწყვეტილა აღფრთოვანებული შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს დიდ მშობლიურ სტალინს!", „ვაშა ამხანაგ სტალინს!"

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ჩუბარი, ანდრეევი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, დიმიტროვი.

როდესაც პრეზიდიუმის მაგიდასთან ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი გამოჩნდებიან, ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი გულთბილად ეხვევიან თვითეულ მათგანს. დარბაზი აღფრთოვანებით უკრავს ტაშს.

მიღების დროს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსმა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ო. ი. შმიდტმა წარმოსთქვა პირველი სადღეგრძელო გმირული სამეულის — ამხანაგ გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის, დიადი საბჭოთა კავშირის სახელოვანი შვილების პატივსაცემად, რომელთაც თავისი უმაგალითო გადაფრენით აამაღლეს ჩვენი დიადი სამშობლოს დიდება. ყველა დამსწრე უდიდესი აღფრთოვანებითა და გულთბილობით მიესალმა გამარჯვებულ გმირებს.

აღტაცებული, მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდება ყველა დამსწრე სადღეგრძელოს, რომელიც ამხ. შმიდტმა წარმოსთქვა სოციალიზმის ყველა გამარჯვების, მათ შორის ჩრდილოეთის პოლუსით ისტორიაში უმაგალითო გადაფრენათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის პატივსაცემად, ხალხთა დიდი და საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

— უმაღლესი ბედნიერებაა საბჭოთა ხალხის ერთგული შვილებისათვის, — ამბობს ამხ. შმიდტი, — მუშაობენ რა თავის უბანზე, წარმატებით შეასრულონ მითითებანი ამხანაგ სტალინისა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს საგმირო საქმეებისათვის. ეს ბედნიერება განიცადა „ანტ-25"-ის ეკიპაჟმა. ყველა ფეხზე დგება. უზარმაზარ დარბაზში გაისმის მქუხარე ოვაცია, ტაშის გრიალი, შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"

შემდეგ ამხ. შმიდტი წარმოსთქვამს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის — საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სადღეგრძელოს. „მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას, — ამბობს ამხ. შმიდტი, — შეუძლია სამი ასეთი გრანდიოზული გადაფრენის მოწყობა ასეთ მოკლე ხანში". დამსწრენი ფეხზე ადგომით უმართავენ ოვაციას ამხანაგ მოლოტოვს. შემდეგ ამხ. შმიდტი წარმოსთქვამს სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. კალინინის სადღეგრძელოს. დარბაზი მხურვალე ოვაციით მიესალმება ამხ. კალინინს. და კვლავ გაისმის მქუხარე ოვაცია, როდესაც ამხ. შმიდტი იღებს ჭიქას თავდაცვის მებრძოლი სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის, სახელოვანი სტალინელი სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ამხანაგ ვ. ი. ჩუბარისა და ამხ. ა. ი. მიქოიანის სადღეგრძელოდ.

ამხ. ვოროშილოვი წარმოსთქვამს საბჭოთა ხალხის გმირ შვილთა და მათ შორის საუკეთესოთა სადღეგრძელოს, რომელნიც გახდნენ საბჭოთა კავშირის გმირთა საპატიო სახელწოდების ღირსნი. ამხ. ვოროშილოვი წარმოსთქვამს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ო. ი. შმიდტის სადღეგრძელოს. დარბაზში მქუხარე ტაშისცემაა.

ამხ. ო. ი. შმიდტი წარმოსთქვამს მუშებისა და ინჟინრების, ტექნიკოსთა, ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორთა და ხელმძღვანელთა, თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. რუხიმოვიჩის, მთელი რიგი თვითმფრინავების, მათ შორის „ანტ-25"-ის ცნობილ კონსტრუქტორის პროფ. ტუპოლევის, მოტორთა კონსტრუქტორ ამხ. მიკულინისა და სხვათა საბოლოო სადღეგრძელოს. კვლავ გრიალებს ტაში.

მიღებაზე დამსწრეთათვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არტისტული ძალები. დიდი წარმატებით გამოვიდა სიმღერისა და ცეკვის რკინიგზის ანსამბლი. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა დამსწრეთა შორის სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის გამოსვლებს.

მიტინგი ბელორუსიის ვაგზალთან

მოსკოვის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი ამხ. მ. მ. გრომოვის, ა. ბ. იუმაშევისა და ს. ა. დანილინის დედაქალაქში დაბრუნებისადმი, გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბრატანოვსკიმ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა აკადემიკოსმა ო. ი. შმიდტმა.

ამხ. ო. ი. შმიდტის სიტყვა

ამხანაგებო, ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ბოლშევიკურ სალამს გადავცემ ჩვენი სამშობლოს მამაც შვილებს ამხანაგებს გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს, რომელთაც მოახდინეს სარეკორდო გადაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით სან-ჯასინტომდე ჩრდილო ამერიკაში (ტაში).

ჩვენ სიხარულითა და აღელვებით ვეგებებით შესანიშნავ ადამიანებს, ჩვენს ძვირფას ამხანაგებს, რომლებიც პოლუსსა და დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე გადაფრინდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და კეთილშობილების მაუწყებლები. ჩვენი ქვეყნის ძალა მისი მიზნების კეთილშობილებაშია — ჩვენ არ ვეძებთ სხვის ტერიტორიებს, არამედ მშვიდობიანად ვაშენებთ ჩვენი დიადი კავშირის ხალხთა ბედნიერებასა და კეთილდღეობას, რომლებიც განთავისუფლებული არიან ექსპლოატაციის ჩაგვრისაგან. ჩვენი ქვეყნის ძალა მის ტექნიკურ ძლიერებაშია. ამხანაგ სტალინის ინიციატივით და პირადი მზრუნველობის მეოხებით ჩვენი საავიაციო მრეწველობა გაიზარდა, შექმნა შესანიშნავი მანქანები, რომელთაც შეუძლია მოახდინონ ის, რაც სხვა ქვეყნებს შეუძლებლად მიაჩნდათ. ჩვენი ქვეყნის ძალა ადამიანთა განსაცვიფრებელ ზრდაშია. სოციალიზმის პირობებში პარტიის უდიდესი ზრუნვისას ადამიანზე გაიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, გადაშლილია ხალხის ნიჭიერების წყაროები.

საბჭოთა ქვეყანაში შემთხვევითი არაფერი არის. ჩვენი წარმატებანი გეგმაშეზომილად მომზადებულია, ისინი კანონზომიერად გამომდინარეობენ პარტიისა და მთავრობის მთელი საქმიანობიდან, ქვეყნის მთელი ზრდიდან.

ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის გადაფრენას განცვიფრებაში მოვყევართ არა მარტო კილომეტრთა რაოდენობით, არამედ მუშაობის საოცარი, სწორუპოვარი ხარისხით. ჩვენი მფრინავები ზუსტად პირდაპირი ხაზით მიფრინავდნენ, მათ არ გადაუხვევიათ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არავითარი სიძნელის დროს. ზუსტად პირდაპირი ხაზით, — როგორც პირდაპირია და განუხრელი ლენინ-სტალინის ჩვენი პარტიის ხაზი (მქუხარე ტაში).

ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის ოსტატობა საუკეთესო განხორციელებაა სტალინური მცნებისა ტექნიკის სიმაღლეების დაუფლების შესახებ. პოლარული სივრცეები გადაეშალათ საბჭოთა ადამიანებს. აღმოჩენილია ორი დიდი ხალხის შემაერთებელი გზა ამერიკისაკენ. ეს გზა ბოლომდე იქნება ათვისებული, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა. სიძნელეები კი, ამხანაგებო, არის. არქტიკა ლამობს გაგვახსენოს თავისი ძალა, მან დააბრკოლა ამხ. ლევანევსკი. მაგრამ ჩვენი ძლიერი ქვეყანა უკან არ დაიხევს. ორი გმირული სამეულის გაფრენა ამტკიცებს, რომ ჩვენი ავიაცია შესძლებს იპოვნოს ამხ. ლევანევსკი, განაგრძობს და დაამთავრებს დაწყებულ საქმეს და ბოლომდე აითვისებს ჩრდილოეთის პოლუსით მიმავალ გზას (ტაში).

ჩვენ მივესალმებით ამხანაგებს, რომელთაც ორივე ნახევარსფეროს მოჰფინეს ჩვენი ქვეყნის დიდება. ჩვენ ვიცით, რომ ისინი მიღწეულზე არ შეჩერდებიან. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ავიაცია, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი მრეწველობა უფრო შორს წავლენ. ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს ჩვენი ქვეყნის ზრდის ზღვარი სტალინური კონსტიტუციის პირობებში, რომელმაც განამტკიცა რევოლუციის დიადი მონაპოვარნი. ვერავინ ვერასოდეს ვერ შეაჩერებს ჩვენს ზრდას. დიადი თავისუფალი ხალხი არავის მისცემს ნებას, რომ მას წაართვან მიღწევები. საბჭოთა ხალხმა ულმობელად გასრისა რა მტრული აგენტურა, რომელიც ცდილობდა ევნო ჩვენთვის, კიდევ უფრო ძლიერ შემჭიდროვდა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

ჩვენი შესანიშნავი მფრინავების საგმირო საქმეები საკადრისი პასუხია ყველა იმათთვის, ვისაც ბოროტი განზრახვა აქვს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობის ბურჯის წინააღმდეგ.

დეე იცოდნენ ეს ჩვენმა მეგობრებმა და დეე იცოდნენ ეს ჩვენმა მტრებმა (ტაში).

გაუმარჯოს მამაც მფრინავებს, — რომელნიც დაბრუნდნენ სამშობლოში ისტორიული გამარჯვების შემდეგ, — ამხანაგ გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას — ხალხის მასების ორგანიზატორს, კაცობრიობის მოწინავე რაზმს!

გაუმარჯოს გამარჯვებათა ხელმძღვანელს და სულისჩამდგმელს ჩვენს ბრძენ ბელადს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს! (მქუხარე ტაში, „ინტერნაციონალი").

ამხ. მ. მ. გრომოვის სიტყვა

ამხანაგებო, ჩვენთვის არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, უფრო დიდი ჯილდო, ვიდრე ჩვენს საყვარელ სამშობლოში დაბრუნება იმისათვის, რომ თქვენთან ერთად გავწიოთ წინ ნათელი მომავლისაკენ იმ გზით, რომელსაც პარტია და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს. (ტაში).

ჩვენი პირველი ოცნება, მას შემდეგ, რაც გაფრენა დავამთავრეთ, იყო მალე დავბრუნებულიყავით ჩვენს საყვარელ ქვეყანაში, რათა გაგვეზიარებინა სიხარული თქვენთვის და იმათთვის, ვინც ჩვენთან ერთად განიცდიდა ჩვენს გაფრენას. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენი კავშირის მილიონობით მშრომელთა გული ჩვენს გულთან ერთად სძგერდა ჩვენი გაფრენის დროს.

საჭირო იყო გმირული ღონისძიება იმისათვის, რომ ასე მოკლე ხანში შექმნილიყო ისეთი მოტორი, შექმნილიყო ისეთი მანქანა, რომლითაც ჩვენ, — მე სიამაყით ვაცხადებ ამას, — ჩვენი დიადი სამშობლოს შვილებმა და იმ სახელოვანი წითელი არმიის მიერ აღზრდილებმა, რომელსაც კლიმ ვოროშილოვი ხელმძღვანელობს,—შევძელით და გვემყარებინა ისეთი რეკორდი, რომლის ბადალიც ამჟამად მსოფლიოში არ მოიპოვება.

ამხანაგებო, ეკიპაჟის სახელით ფიცს გაძლევთ, რომ, თუ საჭირო იქნება, ჩვენ დავამყარებთ არამარტო ასეთ რეკორდებს, არამედ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენს ქვეყანას.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ პარტიას და მშრომელთა საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომელსაც მშვენიერი მომავლისაკენ მივყავართ! (მქუხარე ოვაცია. ძახილი: „ვაშა", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!").



ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი
სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი

ჩვენი ქვეყანა მიესალმება მძიმე მრეწველობის სტალინურ სახკომს

საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან რედაქცია ღებულობს მრავალრიცხოვან გამოხმაურებას მთავრობის დადგენილებაზე მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის დანიშვნის შესახებ.

დონბასის ქვანახშირის შახტებსა და მეტალურგიულ ქარხნებში, გროზნის ნავთსახდელ ქარხნებში, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, მარიუპოლის საწარმოებში გაიმართა მუშათა მიტინგები, რომლებზედაც მიღებულ იქნა მისალმებანი ლ. მ. კაგანოვიჩისადმი. მისასალმებელი დეპეშები მიღებულ იქნა აგრეთვე ლითონნაკეთობათა მუშათა კავშირის მოსკოვის პირველი საოლქო კონფერენციის დელეგატებისგან, ლენინის რკინიგზის პროფკავშირის მეორე ყრილობისგან, ჩრდილო-დონეცის გზის კაგანოვიჩის სახელობის სარკინიგზო კვანძის კრებისგან. რკინიგზელები თავიანთ მისალმებებში სიტყვას აძლევენ ლაზარე მოისეს ძეს, რომ განამტკიცებენ იმ წარმატებებს, რასაც მათ მისი ხელმძღვანელობით მიაღწიეს.

(„პრავდა")

◇

თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად

საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. შეველიოვის ექსპედიციის შემადგენლობა

მოსკოვი, 25 აგვისტო (საქდესი). საჰაერო ექსპედიცია, რომელიც 25 აგვისტოს გაფრინდა მოსკოვიდან, შესდგება „ანტ-6"-ის სამი თვითმფრინავისაგან, რომლებითაც ამა წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. ო. ი. შმიდტის ექსპედიციამ მოახდინა გადაფრენა მარშრუტით — მოსკოვი — ჩრდილოეთის პოლუსი — მოსკოვი. მანქანები ახლად არის შემოწმებული. მათ გაიარეს შემდგომი რემონტი და გამოცდა ჰაერში. ყველა ეს მანქანა ჩინებულ მდგომარეობაშია. მანქანების გამოსაცნობი ნიშნებია: „ნ-170", „ნ-171" და „ნ-172".

ექსპედიციის უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. ი. შეველიოვი და ექსპედიციის ფლაგშტურმანი საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ი. ტ. სპირინი არიან საფლაგმანო ხომალდ „ნ-170"-ზე, რომელსაც მეთაურობს ექსპედიციის ფრენის ნაწილის უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. ვ. ვოდოპიანოვი. მეორე პილოტია უფროსი ლეიტენანტი ამხ. ა. ნ. ტიაგუნინი, პირველი ბორტ-მექანიკოსია ამხ. ფ. ი. ბასეინი და მეორე ბორტ-მექანიკოსები არიან ამხ. პ. პ. პეტენინი და კ. ი. მოროზოვი, ბორტრადისტია ამხ. ს. ა. ივანოვი. გარდა ამისა თვითმფრინავ „ნ-170"-ზე იმყოფება ექსპედიციის სინოპტიკოსი ამხ. ბ. ლ. ძერძეევსკი და საავიაციო ქარხნის წარმომადგენელი ამხ. ი. გ. კოსტანოვი.

მეორე ხომალდს „ნ-171" მეთაურობს საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვ. ს. მოლოკოვი, მეორე პილოტად ამ თვითმფრინავზე არის ამხ. გ. კ. ორლოვი, შტურმანად მიფრინავს ამხ. ა. ა. რიტსლანდი, პირველ ბორტ-მექანიკოსად — ამხ. ვ. ლ. ივაშინა და მეორე ბორტ-მექანიკოსებად — ამხ. დ. ა. ტიმოფეევი და ვ. დ. ტერენტიევი და რადისტად — ამხ. ვ. ვ. ხოდოვი.

თვითმფრინავ „ნ-171"-ით მიფრინავენ აგრეთვე ექსპედიციის პარტორგი ა. ა. მიტროშკინი და კინოოპერატორი ამხ. რ. ლ. კარმენი. მესამე თვითმფრინავის „ნ-172"-ის მეთაური არის საბჭოთა კავშირის გმირი ა. დ. ალექსეევი, მეორე პილოტია კაპიტანი ამხ. ა. ა. კურბანი, შტურმანია ამხ. ნ. მ. ჟუკოვი. ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან პირველი ბორტ-მექანიკოსი ამხ. კ. ნ. სუგრობოვი, მეორე ბორტ-მექანიკოსები ამხ. მ. ი. ჩაგინი და ვ. გ. გინკინი, რადისტი ამხ. ო. ა. კუქსინი და ქარხნების წარმომადგენლები ამხ. კ. ა. ტრასკინი და ს. ვ. მალიკოვი.

ექსპედიცია უახლოვდება არხანგელსკს

მოსკოვი. 26 აგვისტო (საქდესი). გუშინ, 25 აგვისტოს, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსის ამხ. ო. ი. შმიდტის სახელზე მიღებულია შემდეგი რადიოგრამები მოსკოვიდან თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად გაფრენილი საჰაერო ესკადრის მოძრაობის შესახებ:

„**თვითმფრინავი „ნ-170"**. 11 საათი და 07 წუთი. მარჯვნით ვოლოგდის ტრავერსზე. მივდივართ პირქარით. ჰქრის გვერდის ქარიც.

სპირინი.

„**თვითმფრინავი „ნ-170"**. 13 საათი და 09 წუთი. მივფრინავთ ვოჟეს ტბის თავზე.

შეველიოვი, სპირინი.

თვითმფრინავი „ნ-170". 13 საათი და 30 წუთი. გავიარეთ სადგური ლეპშა. მივჰყვებოდით ღრუბლებს, ახლა ცოტა მოწმენდილში ვართ, ხილვადობა ცუდია.

სპირინი.

არხანგელსკი. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს რადიოსადგურმა თვითმფრინავ „ნ-170-დან შემდეგი რადიოგრამა მიიღო:

„14 საათი და 35 წუთი. რვ (ამხ. ვოდოპიანოვის თვითმფრინავი) მიდის წინ 300 მეტრით. 40 წუთის შემდეგ ძირს დავეშვებით".

◇ ◇ ◇

მზადება საბჭოთა კავშირის გმირების გადაფრენათა აღსანიშნავად ძეგლის აგებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო წერილები ვაშინგტონის შტატის გუბერნატორ ბ-ნ კლარენს მარტინისაგან, ვანკუვერის მერ ბ-ნ ჯონ ხიგინსისაგან და ქ. ვანკუვერის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებშიაც იტყობინებიან, რომ ბ-ნ ჰენრი რასმუსენის თავმჯდომარეობით შექმნილია საზოგადოებრივი კომიტეტი ძეგლის ასაგებად საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის ლეგენდარული გადაფრენის აღსანიშნავად.

განზრახულია ქვისა და ბრინჯაოს ძეგლი აიგოს ტრანსპოლარული გადაფრენის შემდეგ თვითმფრინავ „ანტ-25"-ის დაშვების ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ ტერორისტ-დივერსანტ მავნებელთა პროცესი

საბრალდებო დასკვნა

ა. დ. წითლიძის, შ. კ. ალავერდაშვილის, კ. ლ. აბაშიძის, ი. გ. სტეფანოვის, ს. ზ. ყუფარაშვილის, მ. გ. შათირიშვილის, გ. ე. მეტრეველის, ნ. ა. ჯავაშვილის, ა. გ. კობეშავიძის, ფ. ა. ყაჯრიშვილის და ვ. ა. მახოშვილის ბრალდების გამო საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლების მიხედვით

საქართველოს სსრ შინსახკომის მიერ 1937 წელს სიღნაღის რაიონში აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფ. მდივნის არტემ დიმიტრის-ძე **წითლიძის** და იმავე რაიონის რაიაღმასკომის ყოფ. თავმჯდომარის შალვა კონსტანტინეს-ძე **ალავერდაშვილის** ხელმძღვანელობით.

საქმის გამოძიებით გამოირკვა, რომ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც მოწყობილი იყო და მოქმედებდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის პირდაპირი მითითებით, თავის ამოცანად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში და კაპიტალიზმის რესტავრაციას შეიარაღებული აჯანყების მოწყობით, მეამბოხეთა რაზმების შექმნით, საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ ტერორის გამოყენებით, სახალხო მეურნეობაში დივერსიული და მავნებლური აქტების განხორციელებით, კოლმეურნეობათა დაშლით და საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მშრომელთა შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნით.

ასე, მაგალითად: ბრალდებული **არტემ წითლიძე** მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის თავმჯდომარესთან—გერმანე **მგალობლიშვილთან** თავისი კონტრრევოლუციური კავშირის შესახებ 1937 წლის 8 აგვისტოს დაკითხვაზე იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„... მგალობლიშვილმა წინადადება მომცა გამეშალა ინტენსიური კონტრრევოლუციური მუშაობა სიღნაღის რაიონში. ჩემი საქმიანობა ძირითადად მიმართული უნდა ყოფილიყო იქითკენ, რომ დივერსიულ - მავნებლურ ღონისძიებათა მთელი ჯამით მომეხდინა სოფლის მეურნეობის დეზორგანიზაცია სიღნაღის რაიონში, გლეხობის თვალში სახელი გამეტეხნა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისათვის და გამომეწვია უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რაც შეეხება ჩვენი ორგანიზაციის ბრძოლის მეთოდებს, **მგალობლიშვილმა მითხრა**, რომ ახლანდელ ეტაპზე ორგანიზაცია გადავიდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის უმწვავეს ფორმებზე, სახელდობრ: ტერორისტული აქტების მომზადებაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და დივერსიული ძირგამომთხრელი მოქმედების გაშლაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში“.

ამავე საგანზე ბრალდებული **შალვა ალავერდაშვილი** 1937 წლის 4 აგვისტოს დაკითხვაზე იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„... დავალებებს კონტრრევოლუციური ორგანიზაციისაგან მე ვიღებდი სევა **კუხალეიშვილის** საშუალებით, რომელმაც მე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩამაბა და რომელიც მაძლევდა შემდეგ დავალებებს მავნებლობის ხაზით: გამეტარებინა ავადმყოფი ცხვრის მიღება საქართველოს სამტრესტისაგან და შემერია ეს ცხვარი პროდუქტიულ სულადობაში ცხვრის ამ ნაწილის დაღუპვის მიზნით, შემედგინა შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მავნებლური საორგანიზაციო გეგმები, უმთავრესად თესლბრუნვის, კაპიტალური მშენებლობის და კომბაინებისა და ტრაქტორების მუშაობის ნორმატივების დარგში, ხელოვნურად შემექმნა შირაქის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემის შეფერხება, შემეტანა ზედმეტი ტრაქტორები და კომბაინები და არ გამომეყენებინა ისინი, გამომეყვანა მწყობრიდან ტრაქტორები და კომბაინები მათი კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩაშლის გზით, არათავისდროზე მომემარაგებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი სამარაგო ნაწილებით, შემერჩია არაკვალიფიციური ტრაქტორისტები და კომბაინერები ტრაქტორებისა და კომბაინების გაფუჭების მიზნით. ეს შესაძლებლობას მაძლევდა დამემალა მავნებლობა და საჭირო შემთხვევაში მიზეზად მომეყვანა ის, რომ ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს სათანადო კვალიფიკაცია არა აქვთ“.

მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ცენტრის ამ დირექტივების შესაბამისად, **ა. დ. წითლიძემ, შ. კ. ალავერდაშვილმა, ი. გ. სტეფანოვმა** და სხვა ბრალდებულებმა ამ საქმეზე გაშალეს აქტიური მავნებლური საქმიანობა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში იმ მიზნით, რომ ძირი გამოეთხარათ სიღნაღის რაიონის მშრომელ კოლმეურნეთა ეკონომიური ძლიერებისათვის და სახელი გაეტეხათ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკისათვის საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში.

მარცვლოვანი და სათოხნი კულტურების დარგში კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მავნებლობის შესახებ ბრალდებული **ალავერდაშვილი** იძლევა ასეთ ჩვენებას:

„...მიუხედავად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადებისა თესლბრუნვის მალე დანერგვის შესახებ, ჩვენ თავს ვარიდებდით თესლბრუნვას და ვამბობდით, რომ ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ და მეცხოველეობას დავუკავშიროთ. ყოველივე ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ჩაშლილიყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მარცვლოვანი კულტურების თესლბრუნვის საკითხზე. ჩვენ ხშირად ვერეოდით მტს-ების მუშაობაში, რათა ტრაქტორები და კომბაინები იმნაირად ყოფილიყო განაწილებული კოლმეურნეობათა ნაკვეთებზე, რომ ხვნა-თესვა და მოსავლის აღება გაჭიანურებულიყო.

საბოლოო ანგარიშით, ჩვენ ვაღწევდით თესვისა და მოსავლის აღების დაწესებული ვადების ჩაშლას.

და შემდეგ:

„...მიწის ხვნის ჩატარების დროს ჩვენ განზრახ ვიღებდით უფრო ნაკლებ სიღრმეს, ვიდრე აგრომინიმუმი მოითხოვდა: ნაცვლად 18-20 სანტ. სიღრმისა, ფაქტიურად ხვნა სწარმოებდა 12-15 სანტ. სიღრმეზე. ასეთი ხვნის შედეგად დათესილი მარცვალი მინდორში ფუჭდებოდა, მას ჩქარა სპობდა ან ქარი, ან სოფლის მეურნეობის მავნებლები, რის გამო მოსავლიანობა მკვეთრად მცირდებოდა. გარდა ამისა, არ ვატარებდით მინდვრების გაწმენდას სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და სარეველა ბალახებისაგან, რაც აგრეთვე ამცირებდა ხორბლის ქერისა და სიმინდის მოსავლიანობას სიღნაღის რაიონის როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში“.

კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მავნებლობის დარგში მთავარი დარტყმა მიმართა მეცხოველეობაზე, როგორც სოფლის მეურნეობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგზე. ასე, მაგალითად: ბრალდებული **ალავერდაშვილი** იძლევა ჩვენებას:

„...მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებში საკვები ბაზა არ არსებობდა, ჩვენ ვეგმავდით მეღორეობის განვითარებას. სრულიად არ სწარმოებდა ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, აგრეთვე ცხენების აღრიცხვა, მიუხედავად იმისა, რომ სწარმოებდა ჯიშიანი მოზვერებისა და ულაყების შემოყვანა. ამგვარად, შეუძლებელი იყო მოზარდი პირუტყვის ჯიშის გამორკვევა. სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით პირუტყვის მეტიზაციის საკითხს, რათა ამით ჩაგვეშალა იმის გამორკვევა, თუ რამდენად გამოსადეგი იყო ადგილობრივი პირობებისათვის ეს თუ ის ჯიში“

და შემდეგ:

„... **კუხალეიშვილის** დავალებით 1931 წელს მე მივიღე ყაზბეგის რაიონიდან 13 ათასი სული ავადმყოფი და დაავადებული ცხვარი, როგორც პროდუქტიული. ამის შედეგად 85 პროც. ცხვარი დაიღუპა“.

ამავე საგანზე ბრალდებული **სიმონ ყუფარაშვილი** 1937 წლის 9 აგვისტოს იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„...1936 წლის დამლევს სამეგრელოდან სიღნაღის რაიონისათვის მიღებული იყო 60 დაავადებული თხა. საქართველოს მიწსახკომის წინადადებით, განაწილების წესით, მე კოლმეურნეობისათვის გამომიყვეს ექვსი სრულიად ავადმყოფი თხა. **ალავერდაშვილმა** წინადადება მომცა, როგორც კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრს, შემერია ეს ავადმყოფი თხები კოლმეურნეობის საერთო ფარაში. ალავერდაშვილს მხედველობაში ჰქონდა ის, რომ დაავადებული თხები გაავრცელებდნენ ავადმყოფობას 7.000 სულ ცხვარში და ეს გამოიწვევდა პირუტყვის მასობრივ დახოცვას“.

რაც შეეხება მავნებლობას მევენახეობის დარგში, ბრალდებული **შ. ალავერდაშვილი** იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„...1937 წლის გაზაფხულზე მე, **შ. ალავერდაშვილმა** და **წითლიძემ** მივეცით კოლმეურნეობა „წითელ ანაგას“ ამერიკული ვაზის მყნობის გეგმა 400 ათ. ცალის რაოდენობით. ეს კოლმეურნეობა დიდი არ არის, აერთიანებს ორასამდე კომლს. ამ კოლმეურნეობაში მყნობიერები ძალიან ცოტა იყო, სულ 8-10 კაცი, ხოლო აღნიშნული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო სულ ცოტა 50-60 მყნობელი. მყნობის ვადების და სანერგეებში დარგვის ვადების შესასრულებლად კოლმეურნეობას მოუხდა მყნობელთა დაქირავება და ამაზე დიდი ხარჯის გაწევა, შემდეგ გაძნელდა ლერწის დამუშავება სანერგეებში, რის გამო 100 ათასამდე ცალი ნერგი დაიღუპა.

ანალოგიური მავნებლობა გატარებულ იქნა კოლმეურნეობა „შეერთებაში“.

ვატარებდით რა ამ მავნებლურ ღონისძიებებს, ჩვენ მიზნად ვისახავდით, ერთი მხრით, ძლიერ გადაგვეტვირთნა ეს კოლმეურნეობები, რომელნიც ვერ შესძლებდნენ დამუშავების ჩატარებას და სათანადო შემოსავლის მიღებას, ხოლო, მეორე მხრით, სიღნაღის რაიონში ჩაგვეშალა 1937 წლის ვენახის საშემოდგომო დარგვის გეგმა, ვინაიდან სარაიონო გეგმის ნერგის 70 პროც. მიღებული უნდა ყოფილიყო ამ ორი კოლმეურნეობის სანერგეებიდან“.

სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ჩაშლის მიზნით სიღნაღის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ განახორციელა მავნებლობა მტს-ში. ამ საგანზე დაკითხული წნორის მტს-ის ყოფ. დირექტორი ბრალდებული **იოსებ სტეფანოვი** იძლევა ასეთ ჩვენებას:

„...ჩამაბა რა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, **მათიკაშვილმა** მომცა შემდეგი დავალებანი: სასოფლო-სამეურნეო კამპანიის, კერძოდ საშემოდგომო-საგაზაფხულო კამპანიების, ჩაშლის მიზნით ჩამეტარებინა სატრაქტორო პარკის არაკეთილხარისხოვანი რემონტი იმ ანგარიშით, რომ თესვის გაცხარებული კამპანიის მომენტში სატრაქტორო პარკი გაჩერებული ყოფილიყო. ტრაქტორისტთა შორის უკმაყოფილების შექმნის მიზნით, **მათიკაშვილმა** წინადადება მომცა შემეფერხებინა ტრაქტორისტებისათვის ხელფასის მიცემა, თანაც ამას ვაღწევდით იმით, რომ თვითონ **მათიკაშვილი** აფერხებდა დაფინანსებას. ხელფასის გაცემის დაგვიანებით ჩვენ მივაღწიეთ ტრაქტორისტების წასვლას სამუშაოდან და, ამგვარად, ვაყენებდით სამანქანო-სატრაქტორო სადგურს იმ ფაქტის წინაშე, რომ მას ძირითადი კადრები აღარ ჰყავდა. მაგალითად, ამ მიზნით 1936 წელს სამანქანო-სატრაქტორო სადგურიდან წავიდა სამი ტრაქტორისტი“.

ამავე საგანზე ბრალდებული **შ. ალავერდაშვილი** იძლევა ჩვენებას:

„...წნორის მტს-ში კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი **სტეფანოვი** ატარებდა მავნებლობას იმ მხრივ, რომ ჩაშლილიყო პროფილაქტიკური ღონისძიებები სატრაქტორო პარკში, რის გამო, ტრაქტორები ძლიერ ცვდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ზამთრის პერიოდში ტრაქტორები საშუალო ან მიმდინარე რემონტში ყოფილიყო გადაცემული, მათ დიდი რაოდენობით აყენებდნენ კაპიტალურ რემონტში. მაგალითად, 1936 წლის ზამთარში კაპიტალურ რემონტში იყო ტრაქტორების 50 პროც., მაშინ როდესაც ნორმალურად დასაშვებია 20-25 პროც.

ტრაქტორებისა და კომბაინების არაკეთილხარისხოვანმა მავნებლურმა რემონტმა თავი იჩინა 1937 წელს საგაზაფხულო სამინდვრო სამუშაოების დროს. მინდვრად გასული ტრაქტორები მწყობრიდან გამოვიდნენ. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი კომბაინების ხაზითაც, მაგალითად 39 კომბაინიდან 9 კომბაინს ხელახალი რემონტი დასჭირდა“.

მეამბოხეთა კონტრრევოლუციური რაზმების ორგანიზაციისა და პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობის საკითხზე,—ბრალდებულმა კონსტანტინე **აბაშიძემ** 1937 წლის 9 ივლისს დაკითხვაზე შემდეგი ჩვენება მისცა:

„...პეტრე **აღნიაშვილმა** მითხრა, რომ 1937 წელს იქნება კაპიტალისტური ქვეყნების ომი სსრ კავშირთან, ომის მომენტში ჩვენ უნდა მოვახდინოთ შეიარაღებული აჯანყება და ხელთ ვიგდოთ ძალაუფლება, და რომ ის, **პ. აღნიაშვილი**, სათავეში ჩაუდგება ახალ მთავრობას. ამასთან **აღნიაშვილმა** მომცა დავალება: ჩამება კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში საიმედო ხალხი, რომელნიც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მოწოდებით ყოველ წუთს შესძლებდნენ იარაღით ხელში გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პეტრე **აღნიაშვილის** დავალების განსახორციელებლად, 1935 წელს მე, კ. აბაშიძემ, ჩავაბი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სათანადო რაოდენობა ადამიანებისა, რომელთაც მივეცი დავალება გაეშალნათ მეამბოხეთა კონტრრევოლუციურ რაზმებში სხვადასხვა პირთა შეყვანა მეცხვარეთა რიცხვიდან, როგორც ელდარის საბჭოთა მეურნეობაში, ისე თუშ მეცხვარეთაგან“.

და შემდეგ:

„...1936 წელს პეტრე აღნიაშვილმა ა-კ სფსრ-ის სახკომსაბჭოში, თავის კაბინეტში, წინადადება მომცა მომეწყო ტერორისტული აქტი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელის **ლ. ბერიას** წინააღმდეგ და ეს ტერორისტული აქტი პირადად მე განმეხორციელებინა“.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთერთ ამოცანას წარმოადგენდა კოლმეურნეთა საჭიროება-მოთხოვნილებათადმი ბიუროკრატიული მოპყრობა, მათი აბუჩად აგდება, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ შეექმნათ კოლმეურნეთა შორის ხელოვნური უკმაყოფილება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების მიმართ და აგრეთვე ძირი გამოეთხარათ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის.

ასე, მაგალითად, ბრალდებული გიორგი **მეტრეველი** 1937 წლის 9 აგვისტოს დაკითხვისას ამ საგანზე შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„...როგორც ცნობილია, 1935 წელს ჩრდილოეთ კავკასიის მხარემ დადო საქართველოსთან სოცშეჯიბრებების ხელშეკრულება მეცხოველეობის განვითარებაზე. ეს მომენტი ჩვენმა ორგანიზაციამ გამოიყენა თავისი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის, სახელდობრ: 1935 წლის დამლევს 2-3 თვით ადრე კოლმეურნეობებში შემოსავლის საბოლოო განაწილებამდე, ჩვენ, კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის ხელმძღვანელის არტემ **წითლიძის** დავალებით, გავშალეთ მეღორეობის ფერმების მშენებლობა საქობოს სასოფლო საბჭოს კაცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში, „მე-6 ლეგიონი“-ს სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „გლეხის სინათლეში“. ამ ფერმების აგება 45 ათას მანეთამდე დაჯდა. ჩვენ ვაიძულეთ კოლმეურნეობები გაეწიათ ეს ხარჯი არასაგეგმო წესით იმ თანხებიდან, რაც 1935 წელს განაწილებული უნდა ყოფილიყო შრომადღეებზე, მაშინ როდესაც აღნიშნულ კოლმეურნეობებს მეღორეობის განვითარების სრულიად არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდათ საკვები ბაზის უქონლობის გამო და აგებული საღორეები დღემდე გამოუყენებულია.

ამ მავნებლური ღონისძიებით ჩვენ მივაღწიეთ ნორმების ხელოვნურად შემცირებას შრომა-დღეებზე, რამაც კოლმეურნეებს წაართვა მუშაობის სტიმული, გამოიწვია მუშა-ძალის დენადობა და დეზორგანიზაცია შეიტანა კოლმეურნეობებში“.

ამავე საკითხზე ბრალდებული **შ. ალავერდაშვილი** აჩვენებს:

„...ხელფასს არ ვაძლევდით და დავალიანება ხელფასის ხაზით 1934 წლის დეკემბერში მე ავიყვანე 800 ათას მანეთამდე, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშათა და მოსამსახურეთა შორის“.

ბრალდებული **სტეფანოვი** იძლევა ჩვენებას:

„...კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შერყევის მიზნით, ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით შრომის აღრიცხვის მოწესრიგებას კოლმეურნეობებში, რის გამო მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ არსებობდა სწორი აღრიცხვა და გაბატონებული იყო გათანაბრება.

ამ საკითხზე დაკითხული იყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე ბრალდებული ფირუზა **ყაჯრიშვილი**, რომელმაც შემდეგი ჩვენება მისცა:

„...მიუხედავად სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებისა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თანახმად კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, მე ეს არ შევასრულე, რითაც გამოვიწვიე კოლმეურნეთა მასობრივი უკმაყოფილება“.

სესხზე ხელისმოწერის საკითხზე ბრალდებული **გ. მეტრეველი** იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„...სესხზე ხელმოწერის დაწყების შემდეგ, იმ მიზნით, რომ „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში უკმაყოფილება გამომეწვია, მე ადმინისტრატიული წესით ვიბარებდი ცალკეულ კოლმეურნეებს და პირადად ვუდიდებდი მათ ხელმოწერის თანხას 100 პროცენტით, ასე, მაგალითად, კოლმეურნეებმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა და იობ სპანდერაშვილმა ხელი მოაწერეს თვითეულმა 70 მანეთზე, მე გავუდიდე მათ ხელმოწერა თვითეულს კიდევ 70 მანეთით. ანალოგიური ღონისძიებანი განვახორციელე კოლმეურნეობა „გლეხის სინათლეში“, იაკოველის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვა კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეები თავის უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ და ამბობდნენ: „რაღათ სწერთ, სესხზე ხელმოწერა ნებაყოფლობითია, უკეთესია ხელმოუწერლად დაგვადოთ გადასახადიო“.

ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას სასამართლოს და დაცვის ხაზით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ახორციელებდა ორგანიზაციის წევრის—სიღნაღის რაიონის ყოფ. სახალხო მოსამართლის ბრალდებულ ვასილ **მახოშვილის** საშუალებით, რომელმაც დაკითხვაზე 1937 წლის 10 აგვისტოს შემდეგი ჩვენება მისცა:

„...ჩემი თავმჯდომარეობით გარჩეულ საქმეებზე მე გამომქონდა აშკარად არასწორი და უკანონო გადაწყვეტილებანი და განაჩენები. მავნებლურად ხდებოდა რევოლუციური კანონიერების დარღვევა.

როცა ჩემი არასწორი გადაწყვეტილებებით და განაჩენებით სრულიად კანონიერად ნაწყენი მშრომელები მომმართავდნენ და ახსნა-განმარტებას მთხოვდნენ, მე მათ აშკარად კონტრრევოლუციურ, კანონის საწინააღმდეგო განმარტებას ვაძლევდი, რითაც ვიწვევდი მათ განცვიფრებას, აღშფოთებას და უკმაყოფილებას სასამართლო ორგანოების მიმართ.

ამგვარი კონტრრევოლუციური და ძირგამომთხრელი მუშაობით ხელოვნურად ვქმნიდი მშრომელთა უკმაყოფილებას პროლეტარული სასამართლოს და რევოლუციური კანონიერების წინააღმდეგ, ამით კი ვცდილობდი გამომეწვია უკმაყოფილება და უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ“

მშრომელთა დაბეგვრის საქმეში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია თავის მავნებლობას ახორციელებდა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების — კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრების საშუალებით.

მაგალითად, ბრალდებული გიორგი **მეტრეველი** იძლევა ასეთ ჩვენებას:

„...პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილების შექმნის მიზნით, **ალავერდაშვილისა და წითლიძის** დავალებით, კოლმეურნეთა დაბეგვრის საქმეში მე ჩავატარე შემდეგი კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობა:

1) კოლმეურნე ნიკო **მჭედლიშვილი** დაბეგრილი უნდა ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით 70 მანეთის რაოდენობით, მე კი იძულებითი წესით 120 მანეთი გადავახდევინე.

2) კოლმეურნე არსენ **კუტიბაშვილს** უნდა გადაეხადნა გადასახადი საურავით 48 მანეთის რაოდენობით, მე კი 55 მანეთი შევაწერე, რადგან კუტიბაშვილმა ფული დანიშნულ ვადაზე არ შემოიტანა, მე იძულებითი წესით წამოვიღე მისი სახლიდან ხალიჩა.

3) კოლმეურნე მიხეილ **კაკუაშვილი** დაბეგრილი იყო გადასახადით საურავიანად 47 მან. და 90 კაპ. რაოდენობით, მე კი გავუდიდე გადასახადი 55 მანეთამდე. კაკუაშვილმა აღნიშნული თანხა ვადაზე ვერ შემოიტანა და მე თვითნებურად გამოვიტანე მისი სახლიდან სპილენძის ორი ქვაბი.

ჩემმა ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია მთელი სოფლის კოლმეურნეთა დიდი უკმაყოფილება. კოლმეურნეთა შორის შეიქნა ლაპარაკი, ვის მივმართოთ, როცა თვით სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ასეთ უკანონობას სჩადისო“.

ძირგამომთხრელი მავნებლური მუშაობის წარმოების საქმეში განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრების მიერ მოხერხებულად გაპარებული ყოფილი კულაკები და მტრულად განწყობილი უცხო ელემენტები.

ამ საგანზე დაკითხული ბრალდებული სიმონ **ყუფარაშვილი** შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„...1936 წელს, სიღნაღის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან ერთად, ჩვენს კოლმეურნეობაში სხვადასხვა დროს მიღებული იყო 13-მდე ყოფილი კულაკი.

აღნიშნულ კულაკებს დეზორგანიზაცია შეჰქონდათ კოლმეურნეობის მუშაობაში, რითაც კოლმეურნეთა მასაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეებმა არაერთხელ გამოიტანეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობიდან ამ კულაკების განდევნის შესახებ, რაიონის ხელმძღვანელობა, **წითლიძის და ალავერდაშვილის** სახით, ყოველნაირად მხარს უჭერდა კულაკებს და მათ წინადადება მომცეს, როგორც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრს, არა მარტო უშედეგოდ დამეტოვებინა კოლმეურნეთა გადაწყვეტილება, არამედ უკეთესი პირობებიც კი შემექმნა მათთვის (კულაკებისათვის), რაც მე აგრეთვე შევასრულე.

ამ მავნებლურმა ღონისძიებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეთა შორის და შესაძლებლობა მისცა ამ კულაკებს კიდევ უფრო თავხედურად ეწარმოებინათ თავისი ძირგამომთხრელი დეზორგანიზატორული მუშაობა კოლმეურნეობაში“.

ზემოაღნიშნულის მიხედვით **ბრალი ედებათ:**

1. შალვა კონსტანტინეს-ძე **ალავერდაშვილს**, დაბ. 1902 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება—საშუალო, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1931 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ მიცემული იყო სამართალში სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევრად მოპყრობისათვის. დაპატიმრებამდე—სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, —

იმაში, რომ იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის წევრი 1934 წლიდან, ახორციელებდა მავნებლობას შირაქის და ალაზნის საბჭოთა მეურნეობებში, რის შედეგად დაიღუპა 35 პროც. ცხვარი. 1935 წლიდან სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ, **ალავერდაშვილი** არის ამ რაიონის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი. სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელ ა. წითლიძესთან ერთად მან გაშალა მუშაობა ამ ორგანიზაციაში სხვადასხვა პირთა ჩასაბმელად იმ მიზნით, რომ განეხორციელებინათ მავნებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. **ალავერდაშვილის** მითითებით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა მავნებლობას მეცხოველეობაში, მტს-ში, შირაქის წყალსადენის მშენებლობის საქმეში და ამავე დროს აწარმოებდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, რომლის მიზანიც იყო პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების მიმართ მშრომელთა ხელოვნური უკმაყოფილების შექმნა,—ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

2. არტემ დიმიტრის-ძე **წითლიძეს**, დაბ. 1903 წელს ცხაკაიას რაიონის სოფ. უშაფათში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება—საშუალო, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1919 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ სამართალში არ ყოფილა.

დაპატიმრებამდე საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი, —

იმაში, რომ, იყო რა საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი, შექმნა და სათავეში ჩაუდგა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციას, რომელიც ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვადასხვა მშენებლობაზე, ამზადებდა დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, სახელს უტეხდა სიღნაღის რაიონის მშრომელთა თვალში საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას,—ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

3. კონსტანტინე ლევანის-ძე **აბაშიძეს**, დაბ. 1895 წელს თელავის რაიონის სოფ. ალვანში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, მეფის არმიის ყოფ. ოფიცერი, განათლება—საშუალო, ცოლშვილიანი, უპარტიო, წინათ სამართალში არ ყოფილა.

დაპატიმრებამდე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, —

იმაში, რომ, იყო რა მეამბოხეთა კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ატარებდა ელდარის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებისა და მეცხვარეების ჩაბმას მეამბოხეთა კონტრრევოლუციურ რაზმებში, რომელნიც კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ სსრ კავშირთან ომის დაწყების მომენტში გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე იმაში, რომ პეტრე **აღნიაშვილისაგან** წინადადება ჰქონდა მიცემული ჩაედინა ტერორისტული აქტი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ბერიას მიმართ, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9, და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

4. იოსებ გაბრიელის-ძე **სტეფანოვს**, დაბ. 1902 წ. სოფელ ცხინვალში (სამხრეთ-ოსეთი), სომეხი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება—უმაღლესი, ყოფ. ვაჭართაგანი, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1927 წლიდან. გარიცხულია 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით. დაპატიმრებამდე წნორის მტს-ის დირექტორი,—

იმაში, რომ, იყო რა 1934 წლიდან სიღნაღის რაიონის კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი, აბამდა წევრებს კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში და **ა. წითლიძის** და **შ. ალავერდაშვილის** დავალებით ატარებდა მავნებლობას, რომელიც მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩაშლისაკენ და კოლმეურნეობათა ეკონომიური მდგომარეობის ძირისგამოთხრისაკენ, ახორციელებდა მავნებლობას აგრეთვე ტრაქტორების რემონტისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში, განზრახ ახორციელებდა საფინანსო აღრიცხვის არევდარევას, რათა შეექმნა უკმაყოფილება ტრაქტორისტთა შორის, და მავნებლურად აშენებდა მეცხოველეობის ბინებს,—ესე იგი საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

5. სიმონ ზაქარიას-ძე **ყუფარაშვილს**, დაბ. 1887 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება — დაბალი, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1918 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

დაპატიმრებამდე კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1936 წლიდან, ა. **წითლიძის** და შ. **ალავერდაშვილის** დავალებით, ატარებდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, განზრახ აჭიანურებდა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებს, მხარს უჭერდა და აქეზებდა კულაკურ ელემენტებს, ჰქმნიდა უკმაყოფილებას კოლმეურნეთა შორის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

6. მათე გიორგის-ძე **შათირიშვილს**, დაბ. 1890 წ. მახარაძის რაიონის სოფ. ბახვში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება — საშუალო, აგრონომი მევენახე, ცოლშვილიანი, უპარტიო, ყოფ. უნტეროფიცერი, წინათ სამართალში არ ყოფილა.

დაპატიმრებამდე ხირსას საბჭოთა მეურნეობის უფროსი სპეციალისტი, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1933 წლიდან, ატარებდა მავნებლობას ხირსას საბჭოთა მეურნეობაში, მავნებლურად აშენებდა ვენახებს და აგებდა წყალსადენს, განზრახ ატარებდა დაავადებულ ლერწის დარგვას, აგვიანებდა ვენახების წამლობას და მავნებლურად ატარებდა მშენებლობას, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

7. გიორგი ესტატეს-ძე **მეტრეველს**, დაბ. 1896 წ. ონის რაიონის სოფ. უწერაში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება დაბალი, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1921 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ მიცემული იყო სამართალში, ხელისუფლების გადამეტებისათვის, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი.

დაპატიმრებამდე — საქობოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, —

იმაში, რომ, იყო რა წარსულში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, 1937 წელს მიემხრო სიღნაღის რაიონის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ მავნებლურ ორგანიზაციას და ა. **წითლიძის** და შ. **ალავერდაშვილის** დავალებით ატარებდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში წევრების ჩაბმას სოფლად, იყენებდა რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, როგორც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნურად ჰქმნიდა გლეხური მოსახლეობის უკმაყოფილებას პარტიის და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა მიმართ, ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8. 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

8. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ჯავაშვილს**, დაბ. 1896 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ასანურში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება დაბალი, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1926 წლიდან, გარიცხულია 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ სამართალში იყო მიცემული ხულიგნობისათვის.

დაპატიმრებამდე „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი, ახორციელებდა ძირგამომთხრელ მუშაობას „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა მავნებლურად ჩატარებისა და საფინანსო აღრიცხვის არევ-დარევის გზით, რითაც კოლმეურნეობა დაშლამდე მიიყვანა, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

9. ალექსანდრე გიორგის-ძე **კობეშავიძეს**, დაბ. 1909 წ. ქ. მახაჩ-კალაში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება — უმაღლესი, უცოლო, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. კანდიდატი 1931 წლიდან, გარიცხული იყო 1935 წ. პარტდოკუმენტების დაუდევრად შენახვისათვის, წინათ სამართალში არ ყოფილა.

დაპატიმრებამდე ქ. სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ხელმძღვანელი, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, **ალავერდაშვილის** დავალებით ატარებდა მავნებლობას, რომელიც წინასწარ განზრახვით მიმართული იყო სასამართლოს და დაცვის ორგანოების ნორმალური მუშაობის შეფერხებისაკენ, აძლევდა არასწორ განმარტებას სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, საბჭოთა მართლმსაჯულების დისკრედიტაციის მიზნით ამახინჯებდა თავისი, როგორც დამცველთა კოლექტივის წევრის, მუშაობის მეთოდებს, უტიფრად ეპყრობოდა კოლმეურნეთა თხოვნას, ავრცელებდა გლეხურ მოსახლეობაში ღვარძლს და უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

10. ფირუზა ალექსანდრეს-ძე **ყაჯრიშვილს**, დაბ. 1905 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1932 წლიდან, გარიცხულია 1937 წ. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, წინათ იყო კომკავშირის რიგებში 1923 წ. და საქ. კ. პ. (ბ) კანდიდატი 1926 წლიდან. გარიცხული იყო 1929 წელს კონტრრევოლუციური ტროცკისტული მუშაობისათვის. დაპატიმრებამდე ბოდბისხევის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის წევრი 1936 წლიდან, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის ი. **სტეფანოვის** დავალებით ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას ბოდბისხევის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში—თესვის სამუშაოთა ჩაშლისა და შრომადღეების ნორმების ხელოვნურად შემცირების გზით, [illegible] კოლმეურნეებს, რითაც ჰქმნიდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე ჩაშალა [illegible] მშენებლობა, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

11. ვასილ ალექსანდრეს-ძე **მახოშვილს**, დაბ. 1894 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. კაჭრეთში, ქართველი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება დაბალი, ცოლშვილიანი, საქ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1926 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

დაპატიმრებამდე სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე, —

იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1937 წლიდან, ა. **წითლიძის** და შ. **ალავერდაშვილის** დავალებით წინასწარი განზრახვით ამახინჯებდა საქმეების გარჩევას სახალხო სასამართლოში, გამოჰქონდა არასწორი გადაწყვეტილებები, რათა შეექმნა უკმაყოფილება მშრომელ მოსახლეობაში, არღვევდა რევოლუციურ კანონიერებას, აძლევდა კოლმეურნე გლეხებს არასწორ განმარტებებს თავისი იურიდიული დახმარების ხაზით, მიზნად ისახავდა რა იმას, რომ გამოეწვია მათში აღშფოთება საბჭოთა სასამართლოების წინააღმდეგ, — ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ყველა ბრალდებულმა ამ საქმეზე სავსებით დამნაშავედ სცნო თავი წაყენებულ ბრალდებებში და მათ ამხილეს მოწმეთა ჩვენებებმა, რაც საქმეშია.

ეს საქმე უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს სსრ-ის პროკურორი ტალახაძე

1937 წელი, 23 აგვისტო, ქ. თბილისი.

დადგენილება

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიურისა

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოს საკონკურსო ჟიური აღნიშნავს, რომ მთელი რიგი სახელმძღვანელოები, კონკურსზე წარმოდგენილ 46 სახელმძღვანელოდან მოსცილდა ისტორიის იმ სახელმძღვანელოთა წინანდელ ტიპს, რომლებიც გაკიცხულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებაში „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“. ნაცვლად განყენებული სოციოლოგიური სქემებისა, ამ სახელმძღვანელოებში, მიუხედავად ყველა მათი ნაკლისა დაცულია ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მოცემულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა აღწერა, მოცემულია ძირითად ქრონოლოგიურ თარიღთა ჩამოთვლა და ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათება.

აღნიშნავს რა ამ ფაქტს, როგორც მიღწევას საისტორიო მეცნიერების ფრონტზე, ჟიური ამასთან ერთად საისტორიო მეცნიერების მუშაკთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ამ სახელმძღვანელოებს ახლავს მთელი რიგი საერთო ნაკლოვანებანი, რომლებიც აცილებულ უნდა იქნენ როგორც სსრ კავშირის ისტორიის შესწავლის შემდგომ მუშაობაში, ისე ისტორიის სწავლებაში სკოლაში.

1. სსრ კავშირში დიდი სოციალისტური რევოლუციის აღწერის დროს მთელი რიგი სახელმძღვანელოების ავტორები აფუჩეჩებენ იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად ძალაუფლება გადავიდა საბჭოებზე, რომ გაიმარჯვა საბჭოთა ძალაუფლებამ. დიდი სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ამბები ისეა გადმოცემული, რომ მოწაფეებს გონებაში უნერგავენ არასწორ აზრს იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფო ძალაუფლებას სსრ კავშირში ახორციელებდეს უშუალოდ კომუნისტური პარტია. საბჭოების როლი, რომლებიც წარმოადგენენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს, მიჩქმალულია. როლი საკ. კომ. პარტიის (ბ) როგორც მშრომელთა მოწინავე რაზმისა და მშრომელთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბირთვისა, დამახინჯებულია. არ არის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გაიზარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად. ზოგიერთი ავტორი საბჭოებს პირდაპირ განიხილავს, როგორც ერთერთ მრავალრიცხოვან ორგანიზაციათაგანს, პროფკავშირების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების თანაბრად.

2. სრულიად დაუშვებელია, როდესაც ავტორები ნაცვლად იმისა, რომ გადმოსცენ კონსტიტუციის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მუხლი, რომელთა ცოდნაც მოწაფეებს ევალებათ და რომელთა შეთვისებისათვის ისინი მომზადებული უნდა იყვნენ სსრ კავშირის ისტორიის მთელი გადმოცემით, ავსებენ მთელ გვერდებს მაღალფარდოვანი ლაყბობით მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყნის შესახებ, რომლიდან მოწაფე ვერ მიიღებს ვერავითარ წარმოდგენას, თუ საზოგადოდ რა არის კონსტიტუცია.

მთელმა რიგმა ავტორებმა სსრ კავშირის კონსტიტუციის გადმოცემისას დაივიწყეს აღენიშნათ ის, რომ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ანდა არ აღნიშნეს ის, რომ საბჭოების არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, ჩატარდება არა მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, არამედ თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზედაც ფარული კენჭისყრით.

3. სტალინის თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთს სცემდნენ „სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის, სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის, სასოფლო - სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის“, თეზისი, რომელიც იძლევა უკანასკნელ საუკუნეთა რუსეთის ისტორიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს გასაღებს, ვერ გაუგიათ სახელმძღვანელოების მთელ რიგ ავტორებს. კერძოდ, ნაჩვენები არ არის, რომ იმპერიალისტური ომის დროს სწორედ სამრეწველო ჩამორჩენილობის გამო რუსეთის ჯარისკაცები დარჩნენ უყუმბარებოდ, სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობის შედეგად მუშები ჩვენს ქვეყანაში დარჩნენ უპუროდ, საზოგადოებრივი წყობილების ჩამორჩენილობის შედეგად არმიას ხელმძღვანელობდნენ უხეირო ოფიცრები—მემამულეთა შვილები. ავტორები არ იძლევიან მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დროს რუსეთის ჩამორჩენილობის მკაფიო, ნათელ და ბავშვებისათვის მისაწვდომ დახასიათებას, ან კმაყოფილდებიან ამ ნაწილში ზოგადი ფრაზებით და ამით აძნელებენ იმას, რომ მოწაფეებმა გაიგონ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი როლი ჩვენი ქვეყნის უბადრუკი და უძლური ქვეყნიდან — ძლიერ და უხვ ქვეყნად გადაქცევის საქმეში.

4. როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე რუსეთის კაპიტალიზმის დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან დამოკიდებული როლი არ არის ილუსტრირებული კონკრეტული ისტორიული ფაქტებით. არ არის ნაჩვენები, რომ რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან პირდაპირი შედეგი იყო ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ჩამორჩენილობისა. არ იძლევიან რა დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან რუსეთის დამოკიდებულების ნათელ დახასიათებას, ავტორები აძნელებენ იმას, რომ ბავშვებმა გაიგონ მნიშვნელობა დიდი სოციალისტური რევოლუციისა, „როგორც რუსეთის განმანთავისუფლებელისა მისი ნახევრად კოლონიური მდგომარეობიდან“ (სტალინი, ჟდანოვი და კიროვი).

5. ხშირად ახასიათებენ რა რევოლუციის წინადროინდელ ხელისუფლებას ან და „მთავრობებს“, რომლებიც შექმნეს კლასობრივმა მტრებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ავტორები ლაპარაკობენ კაპიტალისტებზე, მაშინ როდესაც ლაპარაკი უნდა იყოს მემამულეებსა და კაპიტალისტებზე. ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფო წყობილების განვითარება, უკანასკნელ ათეულ წლებში რევოლუციის წინ, მიდიოდა რუსეთის მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის მიმართულებით (ამასთან ეს პროცესი მაინც ვერ დამთავრდა რევოლუციამდე),—მემამულე ხელისუფლებას ინაწილებდა კაპიტალისტთან (რაც სრულიად არ ნიშნავს ხელისუფლების სრულ დათმობას კაპიტალისტებისათვის). ლაპარაკობენ რა „კაპიტალისტებზე“ იქ სადაც ლაპარაკი უნდა იყოს „კაპიტალისტებსა და მემამულეებზე“, ავტორები ამასთან ერთად ივიწყებენ, მაგალითად, სთქვან ის, რომ გერმანიის ოკუპანტებმა უკრაინაში უწინარეს ყოვლისა გლეხები იძულეს დაებრუნებინათ მიწა მემამულეებისათვის, რომ ასევე იქცეოდნენ სხვა ოკუპანტებიც. ამის შედეგად შეიძლება მივიღოთ ისტორიული პერსპექტივას დამახინჯება და იმ როლის მიფუჩეჩება, რომელიც ითამაშა მუშათა კლასმა, როგორც გლეხობის განმათავისუფლებელმა მემამულეთა უღლისაგან.

6. სახელმძღვანელოების ავტორებმა ზუსტი ციფრებით არ დაახასიათეს მემამულეთა და გლეხთა მიწათფლობელობის თანაფარდობა. ამით მიფუჩეჩებულია მუშათა კლასის როლი გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემის საქმეში. ფაქტია, რომ არცერთ სახელმძღვანელოში არ არის მოყვანილი ლენინის ციფრები რევოლუციის წინადროინდელი მიწათმფლობელობის შესახებ: „გლეხთა ათ მილიონ კომლს 73 მილიონი დესეტინა მიწა აქვს. ოცდარვა ათას კეთილშობილ და ტყაპუჭა ლენდლორდს—62 მილიონი დესეტინა. ასეთია ძირითადი ფონი იმ ველისა, რომელზედაც ჩაღდება გლეხთა ბრძოლა მიწისათვის“. (ლენინი, ტომი მე-11, გვ. 337).

ავტორებს, როგორც წესი, არ მოუყვანიათ აგრეთვე ის ფაქტი, რომ დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად გლეხებმა სსრ კავშირში მიიღეს 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი საბატონო, სახაზინო და სამონასტრო მიწა.

ავტორთა ამ გულმავიწყობას ის მოსდევს, რომ დიდი სოციალისტური რევოლუციის ამბების გადმოცემის დროს ხშირად გლეხებთან კავშირში მყოფ მუშებს როდი უპირისპირებენ მემამულეებთან კავშირში მყოფ კაპიტალისტებს,—არამედ ერთმანეთს უპირისპირებენ მხოლოდ მუშებს და მხოლოდ კაპიტალისტებს. ამით ავტორთა უნებურად ჩნდება შეუწყნარებელი ხვრელი ანტიისტორიულ და ანტიმარქსისტულ შეხედულებათათვის დიდ სოციალისტურ რევოლუციაზე, რომელთაც მუშათა კლასი გამოჰყავთ არა მთელი მშრომელი ხალხის ბელადად, არამედ კლასად, რომელმაც რევოლუცია თითქოს მარტო თავისთვის მოახდინა.

7. სახელმძღვანელოთა ავტორების უმრავლესობამ ვერ მოახერხა ეჩვენებინა ისტორია სამოქალაქო ომისა, როგორც ომისა, რომელშიც რუსი მემამულენი და კაპიტალისტები თავიანთი აგენტურით (ესერებითა და მენშევიკებით) გამოდიოდნენ როგორც უცხოეთის კაპიტალიზმის მოწინავე რაზმი და დაქირავებული აგენტები. ნათლად არ არის გაშუქებული სსრ კავშირის ისტორიისათვის ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რუსეთის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა, განიცადეს რა დამარცხება ჯერ კიდევ 1917 წლის დამლევს თითქმის სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გადასწყვიტეს მიეყიდნათ თავისი ქვეყანა და მისი დამოუკიდებლობა გერმანელ იმპერიალისტებისათვის, შემდეგ ანტანტის იმპერიალისტებისათვის. ამის შედეგად სსრ კავშირის სამოქალაქო ომის მნიშვნელობა იზღუდება წმინდა რუსული მოვლენის როლამდე და იჩქმალება ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. არასაკმაო სიცხადე ამ საკითხის გადმოცემაში აფუჩეჩებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების როლს, რომლებმაც ფეხზე დააყენეს მთელი ხალხი სამშობლოს დასაცავად უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა თავდასხმის წინააღმდეგ (გერმანიის ლაშქრობა 1918 წელს, ანტანტის სამი ლაშქრობა), იხსნეს ჩვენი ქვეყანა უცხოეთის კაპიტალისაგან და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ დამონებისაგან, უზრუნველჰყვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაიცვეს თავისი მიწა-წყალი („ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ეს ხომ ჩვენი ქალაქია“. ლენინი, ტ. მე-27, გვ. 362) და შექმნეს პირობები სსრ კავშირის ხალხთა განვითარებისა და წარმატებისათვის.

8. განყოფილებას, მიძღვნილს 1917-1920 წლების ისტორიისადმი, როგორც წესი ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მას ამ პერიოდის ისტორია დაჰყავს თითქმის მხოლოდ-და-მხოლოდ სამოქალაქო ომამდე და არ იძლევა წარმოდგენას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების იმ გარდაქმნის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ იმ პერიოდში განახორციელა. საჭიროა მოთხრობა თუნდაც ძირითადის შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ამ პერიოდში:

ა) მოსპო კერძო საკუთრება ფაბრიკებსა და ქარხნებზე, რომლებიც წინათ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ და დაამყარა ფაბრიკებისა, ქარხნებისა, ბანკებისა და სხვ. სოციალისტური, საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფო საკუთრება.

ბ) გადასცა გლეხებს საბატონო, სამონასტრო, სახაზინო მიწები, გამოაცხადა რა ნაციონალიზებულად მთელი მიწა სსრ კავშირში.

გ) მიანიჭა სსრ კავშირის ერებს თანაბარი უფლება რუსის ხალხთან ერთად და შეუდგა ნაციონალურ დამოუკიდებელ ან ავტონომიურ რესპუბლიკათა შექმნას;

დ) დაამსხვრია რა ბურჟუაზიისა და მემამულეთა სახელმწიფო მანქანა, შეუდგა ახალი სახელმწიფო მანქანის აგებას საბჭოების საფუძველზე.

9. ავტორთა უმეტესობა სოციალისტური საზოგადოების აშენების ეპოქას სსრ კავშირში ასწერს უფრო გაკვირვების ნიშნებით, აღფრთოვანების ყიჟინით და სხვადასხვა გულისამჩუყებელი ანეგდოტებით, სიმღერებით და ზოგადი დახასიათებებით პლუს ჩამოთვლა პირველი ხუთწლედის 3-4 ყველაზე პოპულარული პირმშოსი, ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად, ნათლად და მარტივად დაგვანახოს, თუ ორი ხუთწლედის შედეგად როგორ მოხდა, რომ შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, გლეხები გაერთიანდნენ კოლმეურნეობებად, სოფლის მეურნეობა გადაყვანილია სატრაქტორო ტექნიკის ბაზაზე, ხოლო მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დასაცავად შექმნილია მძლავრი ტექნიკურად აღჭურვილი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ავტორთა უმეტესობამ ვერ მოახერხა აგრეთვე მოეცა ზოგადი გადმოცემისაგან მოუწყვეტლივ მუშათა და გლეხთა მტრებთან იმ გაუწყვეტელი ბრძოლის აღწერა, რომლის წარმოებაც მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას და საკ. კ. პ. (ბ) იმისათვის, რათა უზრუნველეყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში (კულაკური საბოტაჟი პურის დამზადებაში, მავნებლობა შახტელთა, სამრეწველო პარტიისა, შეთქმულება, ფაშიზმის ტროცკისტ აგენტთა ცდები მიეყიდნათ სსრ კავშირი უცხოელ იმპერიალისტებისათვის და სხ.).

10. ჟიური აღნიშნავს როგორც სახელმძღვანელოების ავტორთა დიდ მიღწევას, იმ ფაქტს, რომ მათი სახელმძღვანელოები აღარ არის ისტორია მარტო ველიკორუსი ხალხისა, მაგრამ ის ამოცანა, რომ ისტორიის სუბიექტებად შეყვანილ იქნენ აგრეთვე მეფის მონარქიის მიერ დამონებული და ნაციონალური ჩაგვრისაგან დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული სხვა ხალხებიც — ვერ გადასჭრა სახელმძღვანელოთა ვერც ერთმა ავტორმა.

11. იმ სქოლასტიკურ მეთოდთა გამომხატველი, რომლებიც სცვლიან ისტორიულ მოვლენათა მარქსისტულ გაშუქებას, იარლიკების დაკვრა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებისა და მოვლენებისათვის პოულობენ, მაგალითად, თავის გამოხატულებას იმაში, რომ უნარი არ შესწევთ გაიგონ და შეაფასონ ისტორიული მნიშვნელობა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელიც გაუსწორდა აბსოლუტიზმსა და ფეოდალიზმს ისე, როგორც არ გასწორებია არცერთ ბურჟუაზიული რევოლუცია, არ შესწევთ უნარი გაიგონ და შეაფასონ როლი იაკობინელთა, როგორც თავიანთი დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე გაბედულ წარმომადგენელთა. იაკობინელები, სახელმძღვანელოთა ზოგიერთ ავტორს გამოჰყავს, როგორც მხოლოდ დამოუკიდებელ ოსტატთა და წვრილ მედუქნეთა წარმომადგენლები, მეორენი იაკობინელთა დიქტატურას გვიხატავენ, როგორც დიქტატურას, რომელმაც თითქოს ვერაფერი ვერ მისცა ხალხს, მესამენი გვიხატავენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ხელისუფლებად.

ვერ მოგვცეს რა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიღწევათა მკაფიო დახასიათება ფეოდალიზმთან ბრძოლის საქმეში, ავტორებმა ამასთან ერთად ვერ შესძლეს დაეხასიათებინათ შეზღუდულობა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელმაც კლასობრივი ბატონობისა და ექსპლოატაციის ერთი სახე შესცვალა კლასობრივი ბატონობისა და ექსპლოატაციის მეორე სახით—უფრო პროგრესულით.

12. ანტიისტორიულ, არა მარქსისტულ შეხედულებათა გამომხატველი აქვთ საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა ავტორებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე, როდესაც აგვიწერენ სსრ კავშირის საბჭოთა პერიოდამდე:

ა) ავტორები აიდიალებენ ქრისტიანობის წინადროის წარმართობას, ამასთან მათ არ ესმით ის უბრალო ფაქტი, რომ ქრისტიანობის შემოღება პროგრესი იყო წარმართულ ბარბაროსობასთან შედარებით, რომ ქრისტიანობასთან ერთად სლავებმა მიიღეს დამწერლობა და უფრო მაღალი ბიზანტიური კულტურის ზოგიერთი ელემენტი;

ბ) ავტორები უგულებელჰყოფენ მონასტრების, როგორც დამწერლობისა და საკოლონიზაციო ბაზების, გამავრცელებლების, როლს რუსეთის მოქცევის შემდგომ პირველ საუკუნეებში.

გ) ავტორები ვერ ხედავენ ვერავითარ დადებით როლს ხმელნიცკის მოქმედებაში მე-17 საუკუნეში, მის ბრძოლაში უკრაინის ოკუპაციის წინააღმდეგ პანების პოლონეთისა და ხონთქრის თურქეთის მიერ. მაგალითად, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს გადასვლის ფაქტს მე-18 საუკუნის დამლევს ისევე როგორც უკრაინის გადასვლის ფაქტს რუსეთის ხელმწიფებაში, ავტორები განიხილავენ, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, იმდროინდელ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად. ავტორები ვერ ხედავენ, რომ საქართველოს წინაშე მაშინ იდგა ალტერნატივა—ან ჩანთქმული ყოფილიყო შაჰის ირანისა და ხონთქრის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, ისევე როგორც უკრაინის წინაშე მაშინ იდგა ალტერნატივა — ან ჩანთქმული ყოფილიყო პანების პოლონეთისა და ხონთქრის თურქეთის მიერ ან გადასულიყო რუსეთის ხელმწიფებაში. ისინი ვერ ხედავენ, რომ მეორე პერსპექტივა მაინც ნაკლები ბოროტება იყო.

დ) მე-20 საუკუნის დამდეგამდე გლეხთა აჯანყების გაშუქების დროს გაზვიადებულია მათი ორგანიზებულობა და შეგნებულობა. სახელმძღვანელოთა ავტორებს, როგორც სჩანს, საკმაოდ ვერ შეუგნიათ, რომ გლეხებს, მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე, შესწევდათ მხოლოდ სტიქიური და არაორგანიზებული მოძრაობის უნარი. ავტორებს, როგორც ჩანს, საკმაოდ ვერ გაუგიათ ლენინის მიერ მრავალჯერ გამეორებული აზრი იმის შესახებ, რომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ორგანიზებული ხასიათი მისცეს მხოლოდ მუშათა კლასმა და ბოლშევიკურმა პარტიამ, როცა ისინი განმტკიცდნენ და გაიზარდნენ მრავალწლიან ბრძოლაში მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. არასაკმაოდ მარქსისტული მიდგომა ისტორიული მოვლენებისადმი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი ავტორი ისეთ რეაქციულ მოძრაობებსაც კი აიდიალებს როგორიც იყო, მაგალითად, სტრელცთა ამბოხება, მიმართული პეტრეს ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანს შეადგენდა მაშინდელი რუსეთის ცივილიზება.

ე) ავტორთა უმეტესობა, როგორც წესი, სწორ ისტორიულ შეფასებას არ აძლევს ნოვგოროდელთა ბრძოლას გერმანელ რაინდებთან ჩუდსკოეს ტბაზე, როდესაც შეჩერებულ იქნა აღმოსავლეთისაკენ სვლა გერმანელ ოკუპანტებისა (ტევტონთა ყაჩაღური ორდენი — „ქოფაკი —რაინდები“—როგორც უწოდებდა მათ კარლ მარქსი), რომლებიც ახორციელებდნენ კოლონიზაციას დამორჩილებულ ხალხთა ერთიანი გაჟლეტითა და ძარცვით. მარქსისტული შეფასების უქონლობა სწორედ ამ მოვლენისა სსრ კავშირის ისტორიაში მით უფრო დაუშვებელია, რომ მის მიმართ არსებობს მარქსის გარკვეული შეფასება: „1242 წ. ალექსანდრე ნეველი ილაშქრებს გერმანელ რაინდთა წინააღმდეგ, ამარცხებს მათ ჩუდსკოეს ტბის ყინულზე, ისე, რომ არამზადები საბოლოოდ გარეკეს რუსეთის საზღვრებიდან“.

○

მთავრობის კომისიის ჟიური ადგენს:

1. პირველი პრემია არ მიესაჯოს საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა არცერთ ავტორს.

2. მეორე პრემია 75 ათასი მანეთის ოდენობით მიესაჯოს იმ სახელმძღვანელოს ავტორებს, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის მიერ პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით.

3. „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით ჩაითვალოს მთავრობის კომისიის მიერ მოწონებულად და რეკომენდებულ იქნეს, როგორც სახელმძღვანელო მე-3 და მე-4 კლასებისათვის.

4. მიეცეთ საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა ქვემოთჩამოთვლილ ავტორებს,—მინცს, ნეჩკინას, გენკინას, პანკრატოვას, გუდოშნიკოვს და გლიაზერს ხუთ-ხუთი ათასი მანეთი, როგორც წამახალისებელი პრემია.

კონკურსის ჟიური

ვისწავლოთ სსრ კავშირის ხალხთა ისტორია

მალე ფართოდ გაიღება ჩვენი სკოლების კარები და ტალღასავით მოაწყდება ჩვენი მხიარული, ჯანსაღი, დასვენებული, ახალ ძალღონემოკრეფილი სასკოლო ახალგაზრდობა. მას მოელის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ძვირფასი საჩუქარი — ამ სასწავლო წელს სკოლა მიიღებს სსრ კავშირის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოს.

ეს არის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის. მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა. მას ინტერესით წაიკითხავს მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა. მას შეისწავლის ისტორიის ყველა მასწავლებელი. ამ სახელმძღვანელოთი იწყება ფართო და ნაყოფიერი შესწავლა და სწავლება ერთერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერებისა საბჭოთა მოქალაქის საერთო განათლებისა და პოლიტიკური აღზრდის სისტემაში — ისტორიის მეცნიერებისა.

თავისი შესანიშნავი სამშობლოს ისტორიის ცოდნა განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა პატრიოტიზმთან, იმ ქვეყნის მხურვალე სიყვარულის გრძნობასთან, რომელიც, როგორც შუქურა, უნათებს მშრომელი, თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცობრიობის მთელ სამყაროს.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შემთხვევითი როდია იმ ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც ითვლებოდა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ევროპაში. ამ გამარჯვებამ დააგვირგვინა მთელი წყება გლეხთა ომებისა, პროლეტარიატის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა, ეს ბრძოლა განწირული იყო დამარცხებისათვის, სანამ მუშათა კლასმა არ შექმნა თავისი ბოლშევიკური პარტია, სანამ არ ჩამოყალიბდა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე, ურყევი კავშირი. მხოლოდ წარსულის ასპექტში მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგება ჩვენი სახელოვანი აწმყო. დიდი სოციალისტური რევოლუცია მოახდინეს შესანიშნავმა ხალხებმა, რომლებმაც თავისი ცხოვრების წარსულ საუკუნეებშიაც გვიჩვენეს თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნებისყოფა, ყველა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ნებისყოფა. რუსეთის კულტურის უმაღლესი მიღწევა — ლენინიზმი გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად. სსრ კავშირის ისტორია თვალწინ გვიშლის მეფეებთან და ბოიარებთან, მემამულეებთან და კაპიტალისტებთან და უცხოელ დამპყრობლებთან რუს, უკრაინელ, ქართველ, ბელორუს და სხვა ხალხთა ბრძოლის საინტერესო, წარმტაც სურათებს.

ბოლშევიკების პარტია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ისტორიას საბჭოთა მოქალაქის, თავისი სამშობლოსათვის მებრძოლის, სოციალიზმის მშენებლის პოლიტიკურ აღზრდაში. სამი წლის წინათ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის ცნობილ დადგენილებაში, რომელიც გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის ხელმოწერით, აღნიშნული იყო ისტორიის სწავლების არადამაკმაყოფილებელი დაყენება სკოლებში. როგორც სახელმძღვანელოების, ისე სწავლების ძირითად ნაკლს წარმოადგენს მათი განყენებული, სქემატური ხასიათი. ნამდვილი მეცნიერული ისტორია შეცვლილია ვულგარული „სოციოლოგიით“.

პარტიამ და მთავრობამ მოითხოვეს, რომ ისტორიის შესწავლას სკოლაში გაემდიდრებინა ჩვენი ახალგაზრდობა ფაქტებისა და ამბების ცოდნით მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით. ისტორიის სწავლება უნდა ხასიათდებოდეს მისაწვდომობით, თვალსაჩინოებით, კონკრეტულობით. გადმოცემის ფორმა უნდა იყოს ცოცხალი, სახალისო. სწორედ ასე, ეცნობიან რა კონკრეტულ ისტორიულ მასალას, მოწაფენი უნდა უდგებოდნენ ისტორიის მარქსისტულ გაგებას.

ამ ნათელი და ზუსტი მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულება ვერ მოხერხდა. ისტორიის ასეთი სწავლების, ასეთი სახელმძღვანელოების შექმნის გზაზე მძიმე და მკვდარ ტვირთად იდო ანტიისტორიული, ანტიბოლშევიკური, ლიკვიდატორული ტრადიცია, შექმნილი პოკროვსკის „სკოლის“ მიერ. იგი არსებითად აუქმებდა ისტორიას, ცვლიდა მას ისტორიად საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაციების შესახებ, აცლიდა მას მთელ მის მრავალფეროვან, ცოცხალ, პოლიტიკურ შინაარსს.

ამხანაგების სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის მიერ 1936 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებულმა შენიშვნებმა „სსრ კავშირის ისტორიის“ და „ახალი ისტორიის“ ახალ სახელმძღვანელოთა კონსპექტების გამო გამოამჟღავნეს პოკროვსკის ანტიისტორიული „სკოლის“ მავნე როლი. ამ შენიშვნებმა, რომლებიც გახდა ისტორიულ ნიშანსვეტად საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში, პირდაპირი და ნათელი მითითებანი მისცა სახელმძღვანელოების შემდგენლებს და ისტორიკოსებს.

ამხანაგები სტალინი, ჟდანოვი და კიროვი სწერდნენ: „ჩვენ გვესაჭიროება სსრ კავშირის ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ველიკორუსის ისტორია არ იყოს მოწყვეტილი სსრ კავშირის სხვა ხალხთა ისტორიას — ეს ერთი, — და, მეორე, სადაც სსრ კავშირის ხალხთა ისტორია არ იყოს მოწყვეტილი საერთო - ევროპულ ისტორიას და, საზოგადოდ, მსოფლიო ისტორიას“.

1936 წლის 3 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს მოეწყოთ კონკურსი სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე საშუალო სკოლის მესამე და მეოთხე კლასებისათვის. კონკურსის პირობებში მოითხოვდნენ: „სახელმძღვანელო უნდა იყოს კონკრეტული და ისტორიულად სიმართლის მეტყველი. ამასთან ერთად მისი გადმოცემა უნდა იყოს მკაფიო, საინტერესო, მხატვრული და სავსებით მისაწვდომი აღნიშნული ასაკის მოწაფეთათვის“.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, ამხანაგ სტალინის მითითებანი, კონკურსის ორგანიზაცია — ყველაფერი ეს გვეუბნება იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა აძლევენ სსრ კავშირის ისტორიის სწავლებას სკოლაში. ისტორიის ძირითადი ფაქტებისა და ამბების უცოდინარად არ შეიძლება იყოს ნამდვილი მარქსისტული განათლება და კომუნისტური აღზრდა. სკოლამ საბჭოთა ახალგაზრდობას უნდა მისცეს ის გონებრივი ავლადიდება, რომლითაც მას შეუძლია თავის პიროვნებაში აღზარდოს ყველა თვისებანი, რომლებიც საჭიროა შეგნებული საბჭოთა მოქალაქისათვის, პროლეტარული რევოლუციონერისათვის, სოციალიზმის მშენებლისათვის.

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიურის დადგენილება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, გვეუბნება იმას, რომ ისტორიულ მეცნიერების ფრონტზე მცირე გამარჯვება როდია მიღწეული. ანტილენინური „თეორიების“ განადგურებამ ნაყოფი გამოიღო. ამხანაგ სტალინის მითითებებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს საბჭოთა ისტორიკოსებს შორის. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებიდან ისტორიკოსებმა ამოიღეს დიდძალი ძვირფასი მასალა, განზოგადებანი, აზრები. საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებში, ნაცვლად განყენებული სოციოლოგიური სქემებისა, — მიუხედავად ყველა მათი ნაკლისა, — დაცულია ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მოცემულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა აღწერა, მოცემულია ძირითადი ქრონოლოგიური თარიღების ჩამოთვლა და ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათება.

მთავრობის კომისიამ მოიწონა „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით და რეკომენდებულია იგი მე-3 და მე-4 კლასების სახელმძღვანელოდ. ამრიგად ჩვენმა სკოლამ მიიღო სსრ კავშირის ისტორიის ნამდვილი მარქსისტული სახელმძღვანელო; იგი ძირითადად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ წაუყენეს ისტორიის სწავლებას. ამით იწყება ახალი ფურცელი საბჭოთა სკოლის ისტორიაში, რომელიც ახლა იღებს მტკიცე და საიმედო სახელმძღვანელოს მომავალი საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური აღზრდისათვის.

მაგრამ მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიური როდი დაკმაყოფილდა ერთი სახელმძღვანელოს მოწონებით და მისთვის ჯილდოს მინიჭებით. საისტორიო მეცნიერების ფრონტზე უეჭველ მიღწევას არ შეუძლია დაფაროს ის ფაქტი, რომ საბჭოთა საისტორიო მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანები ჯერ კიდევ მთლიანად როდია გადაწყვეტილი. პირველი ჯილდო მიუსჯელი დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ საუკეთესო სახელმძღვანელოც უნდა გაუმჯობესდეს. მთავარი კი ის არის, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილმა სახელმძღვანელოებმა გვიჩვენეს, მარქსიზმ - ლენინიზმისათვის დაწყებული ბრძოლა საისტორიო მეცნიერებაში, ჯერ შორს არის თავისი დაგვირგვინებისაგან, რომ გამომჟღავნებული ცრუ-ისტორიკოსების მიერ დანერგილი მავნე „თეორიები“ ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენს სამეცნიერო საისტორიო წრეში.

მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი შემდგომი (გამოტოვებულია) ისტორიის დარგში, პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობის, პარტიული სწავლების დარგში. დადგენილება ჰგმობს ისტორიული ფაქტების მეცნიერულ გადმოცემის შეცვლას „გაკვირვების ნიშნებით, აღფრთოვანების ყიჟინით და სხვადასხვა გულისამჩუყებელი ანეგდოტებით“...

ჩვენი პარტია ისტორიკოსებისა და პედაგოგებისაგან, კულტურული ფრონტის ყველა მუშაკისაგან მოითხოვს არა საერთო დეკლამაციას, არამედ სერიოზულ და გაღრმავებულ მუშაობას. პარტია და მთავრობა ამ მუშაობას დახმარებას უწევენ თავიანთი მითითებებით, რომელთა ღრმა აზრის შეფასებაც ძნელია. ამ მითითებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მთელი საპროპაგანდო მუშაობისათვის. საჭიროა ამ მითითებებს ჩავუკვირდეთ და შევისწავლოთ.

„პრავდის“ მოწინავე, 22/VIII

◆

სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის გამოცემა

მთავრობის კომისიის მიერ მოწონებული „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ საშუალო სკოლის მესამე და მეოთხე კლასებისათვის გადაეცა დასაბეჭდად სასწრაფო გამოშვების მიზნით. სახელმძღვანელოს გამოსცემს სახელმწიფო სასწავლო პედაგოგიური გამომცემლობა. მისი თავდაპირველი ტირაჟი დაწესებულია 5 მილიონი ცალის რაოდენობით. სახელმძღვანელოს ძირითადი მასა ბაზარზე გამოვა სექტემბერში და მისი ჩაბარება დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგს. სახელმძღვანელოს გამოსცემენ კამისა და კამენსკის ფაბრიკების №2 მოჭიქულ საბეჭდ ქაღალდზე. სახელმძღვანელოს მოცულობა უდრის 14 ნაბეჭდ ფურცელს 6 რუკით, 3 ჩანართით და 109 ილუსტრაციით ტექსტში. სახელმძღვანელო იბეჭდება შემდეგ სტამბებში: პირველი სანიმუშო, „კრასნი პროლეტარი“, „პეჩატნი დვორი“ ევგ. სოკოლოვის სახელობისა, პოლიგრაფწიგნის მე-16 სტამბა, სამხედრო გამომცემლობის სტამბა, გზათა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სტამბა, მოსპოლიგრაფის მე-7 და მე-13 სტამბები და „დეტსკაია კნიგის“ სტამბა. 100 ათასს უშვებენ ლიდერინის ყდით. დანარჩენს — ჩარსავით. ჩარსავიანი სახელმძღვანელო ეღირება 2 მან. და 25 კაპიკად, ლიდერინის ყდიანი — 3 მანეთად.

◇

სკოლას შენობა წაართვეს

საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 თებერვლის დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ პირველი და მეორე საფეხურის სკოლების შენობები გამოყენებულ უნდა იქნან მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ, რომ „აკრძალულია ამ შენობათა დაკავება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც არა აქვთ დამოკიდებულება სკოლასთან, მათ შორის ყოველგვარი კურსებისა და ტექნიკუმების მიერ“.

აღნიშნული დადგენილება შეეხება ქუთაისის მე-14 არასრულ საშუალო სკოლასაც. მისი შენობა ამჟამად უჭირავს საბრეშუმო ტექნიკუმს და სკოლა უბინაოდ არის დარჩენილი.

1934 წლის 12 ივნისს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულმა საარბიტრაჟო კომისიამ (ოქმი № 1/296) გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად მე-14 სკოლას უნდა დაბრუნებოდა თავისი შენობა, ან აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უნდა გადაეხადნა სკოლის შენობის ასაგებად 207.000 მანეთი. ეს დადგენილება შეუსრულებელი დარჩა, რადგანაც ქუთაისის განათლების განყოფილებამ, რომელსაც ერთ დროს „ხელმძღვანელობდა“ ხალხის მტერი კონტრრევოლუციონერი თ. ჭუმბურიძე, არ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და 454 ბავშვი ამჟამად უსკოლოდ დარჩა. საკითხი ხელმეორედ დაისვა სახკომსაბჭოში, საიდანაც მოვიდა სპეციალური დეპეშა, ქუთაისის მე-14 სკოლას უნდა ჩაბარდეს თავისი შენობაო, მაგრამ მავნებელმა ყურულოვმა გამოგზავნა მეორე დეპეშა, შეაჩერეთ სკოლისათვის შენობის გადაცემაო.

განმეორებით აღიძრა საქმე აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოში, რომ შენობის დაბრუნების მაგიერ შენობის ასაგები თანხა 207.000 მანეთი მაინც მიეცათ. მაგრამ აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოშიც იჯდა მავნებელი მანჯგალაძე, რომელმაც სკოლის შენობის ასაგებად მხოლოდ 50.000 მანეთი გადმორიცხა. არც განათლების კომისარიატი დაგვეხმარა საქმის მოგვარებაში.

ახლა მე-14 სკოლას უჭირავს 6 საკლასო ოთახი, იქ მეცადინეობს 454 მოსწავლე. 3 საკლასო ოთახი, რომელშიც ორ ცვლად მეცადინეობს 6 კლასი, იმყოფება შენობის ქვედა სართულში, სადაც იატაკ ქვეშ მუდამ წყალი გუბდება.

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში იქნება 13 კლასი, რომელთა მოთავსება 6 საკლასო ოთახში შეუძლებელია. გარდა ამისა, შენობის 3 ოთახში ძალით შესახლდა ყოფ. მეპატრონე და ფაქტიურად სკოლა უშენობოდ დარჩა.

ქუთაისის მე-14 სკოლა უბინაოდ არის, მისი შენობა კი საბრეშუმო ტექნიკუმს უჭირავს. ნეტა როდის დაგვიბრუნებენ ჩვენს შენობას?

პავ. ხონელიძე

ქუთაისის მე-14 სკოლის დირექტორი.

◇

გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეები საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობებად ხდებიან

ლენინგრადი, 20 აგვისტო (საქდესი). ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ დროს საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობებად მიიღეს გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწენი და ხელოვნების მუშაკები. მათ შორის არიან აკადემიკოსი მოქანდაკე ამხ. გინცბურგი, პროფესორი ამხ. ზალკინსონი, ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკები ამხ. აიზიკოვიჩი, ბიხოვსკაია და სტოიანოვსკაია, „ლენპროექტის“ საარქიტექტურო სახელოსნოს ხელმძღვანელი არქიტექტორი ამხ. გეგელო, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცენტრალური თეატრული სასწავლებლის დირექტორი ამხ. სუშკევიჩი და სხვ.

ყველა ისინი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში და პარტიული ორგანიზაციების დავალებით ეწევიან პროპაგანდისტულ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიის ავანტიურა ჩინეთში

გააფთრებული ბრძოლები ფინტაის რაიონში

შანხაი, 23 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის პრესა იუწყება, რომ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის რაიონში. აგრეთვე ტაკუს რაიონში გაჩაღებულია პარტიზანული ომი. ჩინელთა გააფთრებული ბრძოლები იაპონელ ჯარებთან ხდებოდა აგრეთვე ფიტაის სადგურის დასავლეთით მდებარე რაიონში.

„შუნბაო“ იუწყება, რომ იაპონელმა ჯარებმა 21 აგვისტოს იერიში მიიტანეს ძილხაიზე (ტიანძინის სამხრეთით). ჩინელმა ჯარებმა მოიგერიეს იერიში.

შანხაის ფრონტზე ინიციატივა ჩინეთის ჯარების ხელშია

ტოკიო, 24 აგვისტო. (საქდესი). 23 აგვისტოს შანხაის მახლობლად გადმოსხმული არმიის ნაწილების ოპერაციები, რაც იაპონიის სამხედრო გემების დახმარებით სწარმოებს, უკანასკნელი ცნობების თანახმად, ნანკინის ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო, დღეს დილით ისევ 2 კილომეტრი სანაპირო ზოლით განისაზღვრებოდა.

შანხაის ფრონტზე, იაპონელთა ცნობებითაც კი, 23 და 24 აგვისტოს მდგომარეობას წინანდებურად ახასიათებდა ჩინეთის ჯარების ინიციატიურობა.

ოფიციალურ რელაციებში იაპონიის საზღვაო ავიაციის მოქმედებაზე ნათქვამია, რომ იაპონიის თვითმფრინავები 23 აგვისტოს დილით ადრე მეშვიდეჯერ უშენდნენ ყუმბარებს ნანკინს. საჰაერო ბრძოლაში შანხაის თავზე, ამტკიცებენ იაპონური ცნობები, ჩამოაგდეს ჩინელთა 9 თვითმფრინავი.

იაპონიის ჯარისკაცებს არ სურთ ბრძოლა ჩინელების წინააღმდეგ

შანხაი, 25 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ 400-ზე მეტმა იაპონელმა ჯარისკაცმა შანხაიში, არ სურთ რა ბრძოლა ჩინელების წინააღმდეგ, 21 აგვისტოს მოჰკლა თავისი ოფიცერი და შეეცადა გაქცეულიყო. ჯარისკაცები განაიარაღეს და, როგორც ამტკიცებენ, მათ დაუყოვნებლივ გაგზავნიან იაპონიაში და იქ გადასცემენ სასამართლოს.

იაპონიის ჯარების დანაკლისი შანხაის ბრძოლებში

ტოკიო, 23 აგვისტო (საქდესი). დანაკლისის შესახებ უკვე წინათ გამოქვეყნებულ ცნობებს გარდა, იუწყებიან, რომ კურეს, სასებოსა და იოკოსუკის საზღვაო ბაზებს 22 აგვისტომდე შანხაის ბრძოლებში მოუკლეს 36 ოფიცერი და მატროსი.

ინგლისის მთავრობის მოთხოვნა

ტოკიო, 23 აგვისტო (საქდესი). ინგლისის საელჩომ იაპონიაში 21 აგვისტოს ნოტით აცნობა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა მოითხოვს, რათა ინგლისის მოქალაქეებს აუნაზღაურდეთ შანხაის ამბებით და კერძოდ იაპონელი ჯარების მიერ შანხაიში ინგლისის სამფლობელოთა დაკავებით გამოწვეული ზარალი. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიის ხელისუფალთ გადასწყვიტეს გადაჭრით უარჰყონ ინგლისის მოთხოვნა, მით უმეტეს, რომ, საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, მსგავსი მოთხოვნის წარდგენა „არ შეეფერება დიდი სახელმწიფოს ღირსებას“.

◇

საფრანგეთის ჯარების გაგზავნა შანხაიში

ლონდონი, 23 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 20 აგვისტოს დილით გემ „სფინქსით“ ჰონკონგიდან შანხაიში გაიგზავნა საფრანგეთის ჯარის ათასეული. ამავე გემით ჰონკონგიდან შანხაიში გაიგზავნა ბრიტანეთის სამხედრო - სამედიცინო კორპუსის რაზმი. ჰონკონგში ელიან საფრანგეთის ჯარების ახალ ნაწილებს ინდო-ჩინეთიდან. სინგაპურიდან ელიან ინგლისის მიდლსექსის პოლკის ათასეულს.

იაპონიის არმიის შტაბის კომუნიკე ჩრდილო-ჩინეთში

ტოკიო, 24 აგვისტო (საქდესი). იაპონიის არმიის შტაბის კომუნიკე ჩრდილო-ჩინეთში ამტკიცებს, რომ იაპონიის ჯარებმა დღეს დილით სავსებით დაიკავეს ნანკოუს უღელტეხილი და დაედევნენ ჩინეთის ჯარებს, რომლებიც ხუაილაისკენ იხევენ.

კვანტუნის არმიის (იაპონიის საოკუპაციო არმია მანჯურიაში) შტაბის კომუნიკეში ამტკიცებენ, რომ კვანტუნის არმიის ნაწილებმა, ვანციუანის გარდა (15 კილომეტრის მანძილზე კალგანიდან ჩრდილო-დასავლეთით), დაიკავეს აგრეთვე გუნძია-ჩუანი (13 კილომეტრის მანძილზე ვანციუანიდან სამხრეთით), გადასჭრეს რა ბეიპინ-სუიუანის რკინიგზა, რითაც, სარდლობის აზრით, წინასწარ გადაწყვეტილია კალგანის დაცემა.

დღეს პირველად იუწყებიან, რომ კონკრეტულად იქნა გამოყენებული „დე-ვანის შინა-მონღოლეთის ჯარი“ (დე-ვანი-მონღოლელი მთავარი, იაპონიის აგენტი), რომელმაც კვანტუნის არმიისა და განსაკუთრებით იაპონიის ავიაციის დახმარებით დაიწყო სამხედრო მოქმედება ჩინეთის ჯარების წინააღმდეგ ჩახარში იაპონია მანჯურიის ჯარების დახმარებით, სწერს დომეი ცუსინის სააგენტო, დე-ვანის ჯარმა 23 აგვისტოს გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, რაც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, უკუაგდო ჩინეთის ჯარები შიდა მონღოლეთის ველებში დიდი დანაკლისით. იაპონია-მანჯურია-მონღოლეთის ჯარებს ამ ოპერაციებში მოუკლეს და დაუჭრეს 200 კაცი.

იაპონიის ავიაცია დღეს დილით ყუმბარებს უშენდა დატუნს (შანსის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) და ჩინეთის ჯარებს, რომლებიც თავმოყრილი არიან იანცინსა, ხუაილაისა და სხვა პუნქტებში ბეიპინ-სუიუანის რკინიგზის გასწვრივ. ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ცზინხაის მახლობლად. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე მთიან ადგილას 30 კილომეტრის მანძილზე იანსიანიდან ჩრდილოეთით (ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე).

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

22 აგვისტოს მეამბოხეებმა კასადელ კამპოს რაიონში აფეთქეს ოთხი შენობა რესპუბლიკელთა და მეამბოხეთა პოზიციებს შუა. 22 აგვისტოს მეამბოხენი ცდილობდნენ იერიში მიეტანათ აფეთქების ადგილის მოსაზღვრე რაიონზე მაგრამ, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ გამოსავალ პოზიციებზე.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

22 აგვისტოს ილმუდევარის სექტორში (უესკის სამხრეთ-დასავლეთით) ისმოდა სროლა მეამბოხეთა ბანაკში.

23 აგვისტოს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე 697 სიმაღლესთან უესკის სექტორში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ.

არაგონიის ფრონტზე, განსაკუთრებით ბელჩიტეს რაიონში (სარაგოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით), შემჩნეულია მეამბოხეთა ჯარების ძლიერი კონცენტრაცია.

ჩრდილოეთის ფრონტი

23 აგვისტოს რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიშები, რომლებიც მოხდა დიდძალი ტანკების დახმარებით. მეამბოხეთა რამდენიმე ტანკი მოსპობილია. რესპუბლიკელთა პოზიციებზე იერიშის მიტანის მრავალი ცდის შემდეგ, მეამბოხენი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ გამოსავალ პოზიციებზე.

რესპუბლიკელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ მეამბოხეთა ნაწილებს, რომლებსაც დახმარებას უწევს ავიაცია. სარდლობის ბრძანებით, რესპუბლიკელთა ჯარებმა მოახდინეს სტრატეგიული შემოვლა, რამაც საშუალება მისცა მათ დაეკავებინათ უფრო ხელსაყრელი პოზიციები.

სანტანდერის ფრონტზე რესპუბლიკელთა თვითმფრინავებთან ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის სამმოტორიანი თვითმფრინავი. ორი მფრინავი გადმოხტა პარაშუტით, მესამე ტყვედ წაიყვანეს.

სანტანდერის რაიონში მეამბოხეთა ავიაციამ გაანადგურა სამი სოფელი, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ სამხედრო მნიშვნელობას. ამ სოფლების მოსახლეობას შორის მრავალი მსხვერპლია.

ავიაციის მოქმედება

23 აგვისტოს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ბლანესის ახლოს სანაპიროდან 5 მილის მანძილზე (ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით) აღმოაჩინეს და გააქრეს მეამბოხეთა ჰიდროთვითმფრინავი.

რესპუბლიკელთა ორი ავიაგამანადგურებელი შეებრძოლა მეამბოხეთა ორ ჰიდროთვითმფრინავს მალგარტსა და არენის დე მარის შუა (ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით) სანაპიროდან დაახლოვებით 14 მილის მანძილზე. მეამბოხეთა თვითმფრინავები გაიქცნენ.

23 აგვისტოს სანტანდერის ფრონტზე რესპუბლიკელთა მოტორიზებულ კოლონას ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა თვითმფრინავებმა. მათ ბრძოლა გაუმართეს ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც ახლდნენ კოლონას.

ამავე ავიაგამანადგურებლებმა გაიტანეს კიდევ ერთი ბრძოლა მეამბოხეთა თვითმფრინავებთან. ჩამოგდებულ იქნა რესპუბლიკელთა ორი ავიაგამანადგურებელი. მფრინავები გადმოხტნენ პარაშუტებით. ერთი მშვიდობით დაეშვა, მეორე დაიმტვრა, ვინაიდან მისი პარაშუტი არ გაიხსნა.

23 აგვისტოს მეამბოხეთა თვითმფრინავები ცდილობდნენ თავს დასხმოდნენ კარტახენას, ვალენსიასა და საგუნტოს, მაგრამ განდევნილ იქნენ რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეებით.

ესპანეთის მთავრობის განცხადება

ვალენსია, 23 აგვისტო (საქდესი). ესპანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით აცხადებს პროტესტს ფაშისტთა მიერ ხმელთაშუა ზღვაში ესპანეთის გემების ჩაძირვის წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოკლე ხანში იტალიის გემებმა და წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს ესპანეთის 4 გემი: „კამპეადორი“, „კონდე დე აბასოლო“, „სიუდად დე კადისი“ და „არმურუ“. აღნიშნავს რა, რომ ფაშისტთა პირატული მოქმედება დაუსჯელი რჩება, ესპანეთის მთავრობა აცხადებს, რომ რესპუბლიკური ესპანეთი სკეპტიკურად უყურებს დიპლომატიურ კანცელარიების მუშაობას და ამიტომ დიპლომატიურ პროტესტებთან ერთად მიმართავს უშუალოდ ევროპისა და ამერიკის ხალხებს.

დასასრულ ესპანეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ ესპანეთი არავითარ კომპრომისზე არ წავა. იგი კვლავ მოაგონებს მთელ მსოფლიოს, რომ ის იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლების დასაცავად.

ფაუპელის გადადგომა

ბერლინი, 23 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გერმანიის „ელჩი“ ფრანკოს „მთავრობა“თან, გენერალი ფაუპელი გადადგა. გადადგომის მოტივად „ჯანმრთელობის მდგომარეობა“ მოჰყავთ.

მეამბოხეთა ზურგში

მღელვარება მეამბოხეთა შორის ტოლედოში გრძელდება. 22 აგვისტოს ქალაქიდან ისმოდა სროლა და ხელყუმბარების აფეთქება.

23 აგვისტოს ჩანდა გრენადის წინააღმდეგ მიმართული საარტილერიო ცეცხლი მეამბოხეთა ბატარეებისა. ამავე დროს ისმოდა თოფებისა და ტყვიამფრქვევების ინტენსიური სროლა გრენადის ახლო პუნქტებში. მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა სოფელ არმილიას, 4 კილომეტრზე გრენადის სამხრეთით, და აეროდრომს. მეამბოხეთა ორმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ალბოლოტეს, 8 კილომეტრზე გრენადის ჩრდილოეთით.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-40, 8-40, 10 40	ახალი ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე დაკარგული სამოთხე რეჟისორი დ. რონდელი სცენარი გ. მდივანისა ოპერატორი ბ. ბურავლიოვი საქართ. სახკინმრეწვის ნაწ.
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	
26 სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	საზამთ. შენ. ხმოვ. ფილმი ღამის მძლეველნი საზაფხ. შენ. ხმ. ფილმი დუბროვსკი
დამკვრელი საზამთ. 6-30 საზაფხულო 8-30, 10-30	საზამთ. და საზაფხ. შეთ ბ. ახალი დიდი ხმოვ. ფილმი შორეულ აღმოსავლეთში
კომკავშირელი საზამთ. 6-30 საზაფხ. 8-30	ახალი ხმოვ. მხატვრ. ფილმი გავროში
კომინტერნი 8-30, 10-30	ხმოვ. მხატვრ. ფილმი ნატალკა პოლტავკა
ახალი ამბები 6-30	მაყურებლების საყვარელი ხმოვ. ჟურნ. №№ 34, 35

რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ტექნიკუმი

აცხადებს მიღებას მოსამზადებელ ჯგუფებში, რომელიც იხსნება 1937 წ. 1 ოქტომბრიდან.

იხსნება ორი ჯგუფი, რომელზედაც მეცადინეობა იწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე. მიიღებიან საშუალო სკოლის ექვსკლასდამთავრებულნი.

შემოსვლისას წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განათლების, დაბადების, ჯანმრთელობის, სამი დამოწმებული ფოტოსურათი და პასპორტი (წარედგინება პირადად).

სტიპენდიები საერთო წესით.

ხაზიდან მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის კანცელარიაში (თბილისი, ხიოშვილის ქ. № 13) 20 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე.

რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ტექნიკუმის უფროსი
356 დოცენტი მშვენიერაძე.

ფუნიკულერის რეკონსტრუქცია

დიდი ხანია ფუნიკულერის პლატო თბილისის მცხოვრებთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო. არცერთ ექსკურსანტს, რომელიც თბილისში ჩამოსულა, არ გაუშვია შემთხვევა ენახა ფუნიკულერი. მაგრამ ფუნიკულერის პლატო არ იყო კეთილმოწყობილი. პატარა ვაგზალი რამდენიმე ქოხმახი, 5-6 ხე, აი ყველაფერი, რის ნახვაც შეეძლო იქ მიმსვლელს.

შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ფუნიკულერი გახდება კულტურისა და დასვენების კეთილმოწყობილი პარკი.

50 ჰექტარის ფართობზე აქ გაშენდება პარკ-ტყე, ააგებენ საზაფხულო ესტრადას, ტირს, ფიზკულტურის მოედანს, სასულე ორკესტრის ესტრადას, ჟურნალ-გაზეთების გასაყიდ კიოსკს, დასასვენებელ პავილიონებს, სასაუზმეებს, ფარდულებს გამაგრილებელი სასმელებით და სხვ.

ფუნიკულერის ვაგზალი ძირითადად უკვე მზად არის. ეს ერთერთი ყველაზე ლამაზი შენობა იქნება თბილისში. სამსართულიანი შენობა სასტიკად დაცული ქართული ხუროთმოძღვრების სტილით. ვაგზალი შიგნით გაფორმებული იქნება ხელოვნური მარმარილოთი, მდიდრული მოხატულობით. პირველ სართულში მოთავსდება „დედისა და ბავშვის“ ოთახი, ბავშვების დასასვენებელი ოთახი, ვესტიბიული და ვაგზალი. მეორე სართულში — კაფე, რესტორანი, საბილიარდო და საბანკეტო დარბაზი. მესამე სართულში — ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ჩუმი თამაშის (შაში, ჭადრაკი) ოთახები.

მეორე და მესამე სართულის გარშემო იქნება განიერი ტერასა. აქედან ჩანს კავკასიონის ქედის დიდებული სანახაობა.

12 ჰექტარის ფართობზე უკვე გაშენებულია პარკი. იმ შენობის მარჯვნივ, რომელიც ამჟამად შენდება, იქნება პარტერი — პარკის ყვავილოვანი ნაწილი. კანურა, ქრიზანთემები, ონტოფა, ვარსკვლავა და სხვ. ავსებენ ყვავილთა კვლებს. შემდეგ ყოველი მხრით სწორ ხაზებად მიდიან ხეივნები, ყვავილოკვლები, გაზონები. აქ შეიძლება ნახოთ ყოველნაირი მცენარეულობა: ფიჭვი, კვიპაროსი, ტუია, თურქმენეთისა და კიევის ალვისხე, ნეკერჩხალი, იფანი, ტირიფი, თხილი.

ყვავილკვლებსა და გაზონებს შუა მთელ სამივე კალთაზე მოთავსებულია სანახაობათა მოედანი — ტერასები. ხეივნებში და სანახაობის მოედნებზე დადგმულია სკამები. გაჰყავთ მოასფალტებული გზა, რომელიც ფუნიკულერის პლატოს კოჯრის გზატკეცილს შეუერთებს. (საქდესი).

◇ ◇ ◇

პირველყოფილი ადამიანის ნაშთთა ძებნა კოლხიდის დაბლობში

ლენინგრადი (ჩვენი საკ. კორ.). დასავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის არქეოლოგები ნახულობდნენ ხოლმე პირველყოფილი (ნეანდერტალის) ადამიანის ნაშთებს, რომელსაც 50 ათასი წლის წინათ უცხოვრია.

საბჭოთა არქეოლოგებს დიდიხანია აინტერესებთ საკითხი, — ცხოვრობდა თუ არა პირველყოფილი ადამიანი ჩვენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამ დღეებში კავკასიიდან ლენინგრადს დაბრუნდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავი ზღვის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი ს. ნ. ზამიატინი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ს. ნ. ზამიატინმა განაცხადა:

— ჩვენი ექსპედიციის ამოცანას შეადგენს კავკასიის ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის ნაშთთა ძებნა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შავი ზღვის სანაპიროებზე, კოლხიდის დაბლობიდან ტუაფსემდე, ვიპოვნეთ პირველყოფილი ადამიანის 50-მდე ადგილსამყოფელი. ზოგიერთ ამ ადგილსამყოფელში არქეოლოგებმა ნახეს ხელის სატეხები და ქვის სხვა იარაღები უძველესი ტიპისა. ზოგჯერ გვხვდებოდა დილუვიონის წინათ გამქრალ ცხოველთა (მღვიმის დათვისა და უძველესი ირმის) ძვლები.

ახლა გადავდივართ გამოქვაბულების გათხრაზე. დაწვრილებით იქნება გამოკვლეული გამოქვაბული მდინარე ძიმთის ხეობაში, რომელიც იმყოფება პიტალო კლდეში 100 მეტრის სიმაღლეზე.

ჩვენს მიერ ნაპოვნი ქვის ხანის იარაღები მოწმობენ, რომ გულმოდგინე გათხრების შედეგად კავკასიის ტერიტორიაზე ალბათ ვნახავთ პირველყოფილი ადამიანის ნაშთებს.

თბილისის „დინამოს“ მეორე დამარცხება

მოსკოვი, 25 აგვისტო (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.) დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე 30 ათასი მაყურებლის თანადასწრებით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდს „მეტალურგს“, რომელიც საკავშირო პირველობისათვის ბრძოლაში პირველი მიდის.

პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მოსკოვის „მეტალურგის“ სასარგებლოდ.

თბილისელთა სწრაფვა გაექვითონ ანგარიში მეორე ტაიმში ვერ იძლევა შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა მატჩმა ჩაიარა თბილისელთა აშკარა უპირატესობით, თავდასხმის ხუთეულს არ შესწევდა უნარი ბოლომდე მიეყვანა დაწყებული კომბინაციები.

30 აგვისტოს თბილისის „დინამოელები“ შეხვდებიან ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს. მატჩი შესდგება ლენინგრადში.

პროფ. კ. ე. გაბუნია

მეგობრისა და მასწავლებლის ხსოვნას

პროფესორ კ. გაბუნიას გარდაცვალებით საქ. ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა, მისმა სტუდენტობამ, მისმა ახალგაზრდა სამთამადნო და გეოლოგიურმა დარგებმა დაჰკარგეს ერთერთი გულწრფელი და დაუღალავი მუშაკი.

იგი იყო ქუთაისის რაიონის ღარიბ გლეხის ოჯახიდან (დაიბადა 1888 წელს). მამამ, ღარიბმა მიწის მუშამ, დიდი გაჭირვებით მიაღებინა იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. შემდეგ ახალგაზრდა მოწაფე უკვე საკუთარი შრომით ირჩენს თავს და 1909 წელს ამთავრებს საშუალო სასწავლებელს, ხოლო 1919 წელს — ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტს.

1911 წელს სტუდენტი კ. გაბუნია გარიცხულ იქნა ინსტიტუტიდან სტუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის, ხოლო 1912 წელს ისევ დაუბრუნდა სასწავლებელს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მას მინდობილი ჰქონდა ჰიდროტექნიკური კვლევები ციმბირის (ბარნაულის) რაიონებში. 1913 წელს მონაწილეობა მიიღო სვანეთის სამთო ბილიკის ტრასის კვლევაში და 1916 წ. მის გაყვანაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სადაც მას მთავარ ხელმძღვანელობას უწევდა გამოჩენილი გეოლოგი, დღეს აკადემიკოსი ობრუჩევი, ახალგაზრდა ინჟ.-გეოლოგი გაბუნია მუშაობს გეოლოგიურ დარგში ციმბირში (ირკუტსკის ქვანახშირის რაიონში) და შემდეგ მანჯურიაში.

1921-22 წლებში გაბუნია იწყებს პედაგოგიურ მუშაობას, ჯერ საშუალო სასწავლებლებში, შემდეგ ტომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი მიწვეული იყო უფროს მასწავლებლად გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრასთან.

1924 წ. გაბუნია ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას ს. მ. უ. ს-ის სამთო განყოფილებაში გეოლოგად.

1925 წელს იგი მიიწვიეს ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე გეოლოგიური დისციპლინების ხელმძღვანელად. 1930 წელს იგი არჩეულ იქნა პროფესორად ა.-კ. სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფ. გაბუნია ეწევა დიდ მუშაობას სოციალისტურ მშენებლობაში. არ ყოფილა თითქმის არცერთი სერიოზული სამთამადნო და ჰიდროტექნიკური წამოწყება საქართველოში და ამიერკავკასიაში, სადაც მას არ მიეღოს მონაწილეობა როგორც გეოლოგიური დარგის მრჩეველს და კვლევა-ძიების უშუალო მწარმოებელს.

მას აქვს მრავალი მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის დაბეჭდილი და დაუბეჭდავი შრომა გეოლოგიის სხვადასხვა დარგში.

როგორც მასწავლებელი, როგორც ადამიანი, იგი მეტისმეტად ახლო იდგა სტუდენტობასთან. ყოველთვის ხალისიანი და [illegible], იგი თავისი დიდი რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა ახალგაზრდობას, მის პრაქტიკულ მეცადინეობასა, სადიპლომო პროექტის შედგენაში და სხვა.

მიმდინარე წლის საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის ჩატარებაში კ. გაბუნიას ხვდა დიდი საპასუხისმგებლო მუშაობა. მან მოკლე ვადაში თბილისის მუზეუმთან მოაწყო გეოლოგიური გამოფენა, რომელიც თავისი ხარისხით არ ჩამორჩებოდა სხვა დიდ ასეთსავე გამოფენებს.

კ. გაბუნიას ხსოვნა უკვდავი იქნება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა, ვინც მასთან მუშაობდა და ვინც მისებრ მთელ თავის ცოდნას და ენერგიას გულწრფელად აძლევდა სოციალისტურ მშენებლობას.

ინსტიტუტის დირექტორი ა. ბოჯგუა.

პროფესორები: გ. წულუკიძე, ა. თვალჭრელიძე, ა. ჯანელიძე, გ. სმირნოვი, დოცენტები: დ. ყიფიანი, ბ. გუჯეჯიანი, ივ. ყიფშიძე, ნ. ტყემალაძე, ი. კაჭარავა, ი. კახიძე, შ. ჩხეიძე, ქ. ჭიჭინაძე, გ. ქოჩეთიანი, პ. გამყრელიძე, გ. ტოლონიძე, ილ. ყიფშიძე, გ. ძოწენიძე, ივ. აბაკელია, გ. გვახარია, ივ. რუხაძე, ა. ბუხნიკაშვილი, ი. ხუხუნაიშვილი, გ. ზარიძე, ინჟინრები: ვ. ლაშქარაძე, ლ. კონიუშევსკი, გ. ცქიტიშვილი, ბ. ფომინი, მ. ბაიანი, ა. კანდელაკი, ვ. გუნცაძე, გ. ჩხოტუა, გ. ჭელიძე, გ. ხარატიშვილი.

დამკრძალავი კომისია

23 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი, პროფ. კალისტრატე ესტატეს-ძე გაბუნია.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შექმნილია პროფ. კ. ე. გაბუნიას დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. პ. ბოჯგუა (საქ. ინდუსტრიულ. ინსტიტუტის დირექტორი, თავმჯდომარე), გ. ი. კიკნაძე (განსახკომის მოადგილე), პროფ. გ. ა. წულუკიძე, პროფ. ა. ა. თვალჭრელიძე და დოც. ბ. ი. გუჯეჯიანი (გეოლოგიური ტრესტის მთ. ინჟინერი).

კომისიის დადგენილებით, გარდაცვალებულ პროფ. კ. ე. გაბუნიას ცხედარს ბინიდან (საბა-სულხანის ქ. № 9) გადაასვენებენ საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში (სასწავლო შესახვევი № 2-4) 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე.

დაკრძალვა მოხდება 27 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, პროფ. გაბუნიას დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები მიღებულია სახელმწიფოს ხარჯზე.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 26 აგვისტოს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. თელთევაძე. დასაწყ. საღ. 8 ს.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის კაპიტალისტური გარემოცვა და კლასობრივი ბრძოლა ახლანდელ ეტაპზე. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. მურაჩაშვილი. დასაწყ. საღ. 8 ს.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოთა და მათი აგენტების — ტროცკისტ-ფაშისტ მზვერავთა დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. სიფრაშვილი. დასაწყ. საღ. 8 ს.

სარედაქციო კოლეგია.

თანახმად არტელ „კოოპწარმოების“ საერთო კრების დადგენილებისა, სწარმოებს არტელ „კოოპწარმოების“ ლიკვიდაცია

ყოველგვარი პრეტენზიებით მიმართეთ ლიკვიდკომს 1937 წ. 1 სექტემბრამდე, რის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. ლიკვიდკომი იმყოფება მე-2 ახალშენის ქ. № 2.

17318 ლიკვიდკომი

26 აგვისტოს, საღამოს სრულ 7½ საათზე, განათლების მუშაკთა სახლში მოწვეულია სკოლების დირექტორების და დაწყებითი სკოლების გამგეების, სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეების, რაიონულ განათლების განყოფილებათა გამგეებისა და ინსპექტორების საქალაქო თათბირი.

დღის წესრიგი: 1937/38 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ. (მომხს. ამხ. პ. აფხაძე).

142 თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება.

საქ. შინავაჭრობის სახკომისარიატის სასწავლო კომბინატის დირექცია იღებს მოსწავლეებს:

სავაჭრო საქმცოდნეობის და კულინარიულ სკოლაში რუსულ და ქართულ სექტორებზე. სკოლა ამზადებს უმცროს საქმცოდნეებს, სექციონერებს, გამყიდველებს (სასურსათო და სამრეწველო განხრით) და პირველი და მეორე კატეგორიის მზარეულებს.

სწავლების ვადა განსაზღვრულია ერთი წლით.

სკოლაში მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები 17-დან 25 წლამდე. საჭიროა შემდეგი საბუთები: განათლების, წლოვანების, ჯანმრთელობის და სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა.

არასრულ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიღებული იქნებიან უგამოცდოდ, ხოლო 7-კლას დაუმთავრებელნი კი აბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის 6 კლასის ფარგლებში შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა, 2. რუსული ენა, 3. არითმეტიკა და 4. პოლიტცოდნა. მისაღები გამოცდები დაიწყება ა.-წ. 25 აგვისტოს. ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 60 მანეთიდან 90 მანეთამდე. საქვაჭრობის რაიგანყოფილებიდან მოვლინებული პირები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და დამთავრების შემდეგ განაწილებული იქნებიან მომვლინებელ რაიონებში.

დანარჩენი კურსდამთავრებული მსმენელები გამოყენებული იქნებიან სამუშაოდ თბილისის სავაჭრო ქსელში განხრების მიხედვით. კურსის დამთავრების შემდეგ მათ უფლება აქვთ წარმოებას მოუწყვეტლივ განაგრძონ მეცადინეობა კომბინატთან არსებულ ჯგუფში სრული საშუალო სკოლის ცოდნის მისაღებად.

განცხადებები მიიღება დილის 9 საათიდან 3 ნახ. საათამდე და საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე. ბარნოვის ქ. № 29.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

38 კომბინატის დირექტორი დ. გოგეშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ უნივერსიტეტში მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს. 31 აგვისტოს იწარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია.

1. ყველა სტუდენტი ვალდებულია გატარდეს აღრიცხვაზე თავიანთი ფაკულტეტის ძდივნებთან 31 აგვისტოს.

2. 31 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, თ. ს. უ. კლუბში მოწვეულია უნივერსიტეტის პროფესორ პედაგოგიური პერსონალის საერთო კრება ახალი სასწავლო წლის დაწყების საკითხებთან დაკავშირებით.

დასწრება სავალდებულოა.

1703 თ. ს. უნივერსიტეტის რექტორის მაგიერ გ. ჯანელიძე.

რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ტექნიკუმი

აცხადებს, რომ ტექნიკუმის ყველა კურსებზე და სპეციალობებზე, გარდა მესამე და მეოთხე კურსების ჯგუფებისა და სპეციალობებზე: „ლიანდაგის მეურნეობა“, „საწარმოო“ და „კომუნალური ნაგებობების“ და „ხელოვნური ნაგებები“.

მეცადინეობა დაიწყება 1937 წ. 1 სექტემბრიდან.

სპეციალობები მესამე და მეოთხე კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1937 წ. 1 ოქტომბრიდან.

მოსწავლეთა განმეორებითი გამოცდები დანიშნულია ახალი სასწავლო წლის პირველი ათი დღის განმავლობაში.

რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ტექნიკუმის
359 უფროსი: დოცენტი მშვენიერაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე 1937—38 სასწავლო წლისათვის განცხადებების მიღების ვადა გაგრძელებულია ა. წ. 5 სექტემბრამდე.

განცხადების მიღება სწარმოებს: თბილისი, მარის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის საერთო განყოფილება).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 5 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე.

ფიზკულტურის ფაკულტეტის ყველა კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

1703 ა თ. ს. უნივერსიტეტის რექტორის მაგიერ გ. ჯანელიძე.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 23 აგვისტოს, ღამით გარდაიცვალა ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი

პროფ. კალისტრატე ესტატეს-ძე გაბუნია

ა.-კ. გეოლოგიური ტრესტი ულრმესი მწუხარებით იუწყება ტრესტის უფროსი კონსულტანტის, პროფესორ

კალისტრატე ესტატეს-ძე გაბუნიას

უდროოდ გარდაცვალებას.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8296